# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 ოქტომბერი 2007 №234 (3157) ფასი 50 თეთრი


## ოლიმპიური მღელვარება: პატარკაციშვილი გადაყენებულია!



## უეფას თასი ასათიანით



გუშინ ნიონში უეფას თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა და ტურნირის უმთავრეს ფავორიტ „ბაიერნს“ არცთუ იოლი მეტოქეები შეხვდა. მათ შორისაა პრემიერიგის აუტსაიდერი „ბოლტონი“, რომელშიც ნიკოლა ანელკა თამაშობს. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს „რეალის“ მაისურით ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნისთვის“ გაუტანია, „ბოლტონის“ ოფიციალურ ვებგვერდზე კი ანელკამ განაცხადა: „სიამოვნებით ჩავალ მიუნხენში მოსაგებად და იმისთვის, რომ ჩემს გუნდს სახელი გავუთქვა. უეფას თასზე „ბაიერნი“ ფავორიტია და დიდი გამოცდა გველის „ალიანს არენაზე“, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე. ჩემი მეგობარი ფრანკ რიბერი ამ ზაფხულს გადავიდა მიუნხენში და საუცხოოდ თამაშობს“.

„ბოლტონის“ გარდა „ბაიერნის“ მეტოქეები არიან „ბრაგა,“ „ცრვენა ზვეზდა“ და „არისი“. საკვალიფიკაციო ეტაპზე მიუნხენელებმა „ბრაგას“ თანამემამულე „ბელენენსეში“ დაამარცხეს.

„ტოტენჰემი“ „ანდერლეხტთან“ მოხვდა, რომელსაც 1984 წელს უეფას თასის ფინალში მოუგო, ხოლო მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივს“ მძიმე ბრძოლები ელის „პანათინაიკოსთან“ და მადრიდის „ატლეტიკოსთან“.

„ბორდო“ და „გალათასარაი“ შარშან ჩემპიონთა ლიგის ერთ ჯგუფში იყვნენ და წილისყრამ ახლაც ერთმანეთს შეახვედრა...



# მუჯირი გამოირიცხა, ასათიანი საშიში არაა

## დღეიდან ტოპმიოლერს მეტის დათვლა მოუწევს: საქართველო შეივსება



**საქართველოს** ეროვნული ნაკრები გენუაშია და მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან მოახლოებული ევროშესარჩევი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს — კლაუს ტოპმიოლერის გუნდი გუშინწინ ჩავიდა იტალიაში, დღეიდან კი ფეხბურთელებს ორჯერადი ვარჯიშები დაეწყებათ.

გუნდი გენუის გარეუბან არეცანოში, „გრანდ ოტელშია" დაბინავებული. ჩვენების თქმით, პირობები ჩინებულია, საწვრთნელი მოედანი კი სასტუმროდან ნახევარი საათის სავალზეა.

ტოპმიოლერის განკარგულებაში ტრავმირებულების (კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ზაალ ელიავა, მათე ღვინიანიძე) გარდა თითქმის ყველა ის ფეხბურთელია, რომლებიც მწვრთნელმა იტალია-შოტლანდიასთან მატჩებისთვის გამოიძახა. ეს „თითქმის" კი დავით მუჯირია — სამარის „კრილია სოვეტოვის" კაპიტანმა ასევე ტრავმის გამო ვერ შეძლო იტალიაში ჩასვლა და ამის თაობაზე მან ნაკრების ხელმძღვანელებს ტელეფონით ამცნო.

მუჯირი რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, კრასნოდარის „კუბანთან" მატჩში დაშავდა და ვერც იტალიასთან და ვერც შოტლანდიასთან ვერ დაეხმარება ნაკრებს.

გუშინ საქართველოს დელეგაციამ ქალაქში გაისეირნა და მხოლოდ ერთხელ, საღამოს ივარჯიშა, თუმცა ტოპმიოლერი დანაკლისს ვერც ამჯერად ასცდა — ჩვენი ნაკრების და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთმა ლიდერ მალხაზ ასათიანს, რომელსაც ფეხი აწუხებს, მწვრთნელებმა და ექიმებმა დასვენების საშუალება მისცეს.

როგორც შევიტყვეთ, ასათიანის ტრავმა საშიში არ არის და დღეიდან მან გუნდთან ერთად უნდა ივარჯიშოს.

**ქახა ზალამბერიძე**



# კვახაძის თოფიანი ვარიანტი

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ალექსანდრე კვახაძე ზამთარში, შესაძლოა, კიევის „არსენალში" გადავიდეს.

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანს ორიოდ თვის წინ რუსულ „სატურნში" წასვლის ვარიანტი ჰქონდა, თუმც ვიზის არქონის გამო ვერ მოახერხა, მერე კი სატრანსფერო ფანჯარაც დაიკეტა.

კვახაძე ერთ-ერთი იშვიათთაგანია, ეროვნული ჩემპიონატიდან რომ მოხვდა ნაკრებში. იგი სექტემბრის სანაკრებო თამაშებშიც იყო გამოძახებული და აზერბაიჯანთან ამხანაგურშიც ითამაშა.

„არსენალში" კი კარგა ხანია, სულ ცოტა, ერთი ქართველი მაინც თამაშობს-ხოლმე. ამჯერად ეს ერთი გიორგი დემეტრაძეა.

**ილია ნანობაშვილი**

# ვინ ფრთხილობს, ვინ არხეინადაა

## იტალია დონადონის არჩევანს უწუნებს

**13 ოქტომბერი** მოახლოვდა, იტალიის ნაკრებმა უხეიროდ დაწყებული ევროშესარჩევი ბოლო თვეებში სათავისოდ მოატრიალა, თანაც, მეტოქეთა მატჩებიც ისე წარიმართა, „ალჩუზე" დაუჯდათ ყველაფერი. თუმც ჯერ მაინც შიშობენ აპენინელები, რაკილა ჯგუფიდან გასვლა არ გაუნაღდებიათ. საფრანგეთი და შოტლანდია ჩასაფრებულნი არიან, „მამლების" ვარსკვლავი ფრანკ რიბერი კი ადგა და თქვა, ეგ თქვენი იტალია ჯგუფში ჩარჩებაო.

რა სჭირდება ტალიას დარჩენილ მატჩებში? საქართველოსთან მოგება და შოტლანდიასთან გლაზგოში არწაგება. აქედან პირველი ამოცანის გადაჭრაში იქაურ მასმედიას თითქმის ეჭვი არ ეპარება და ღიად აცხადებენ, რობერტო დონადონის მთავარი ბრძოლა გლაზგოში ელისო.

თუმც ფრთხილ კომენტარებსაც ვხვდებით: „კორიერე დელო სპორტი" წერს, დონადონის ბევრი ფეხბურთელი აკლია საქართველოსთან და მწვრთნელი შემადგენლობის შერჩევისასაც შეცდაო.

დონადონის განსაკუთრებით აკრიტიკებენ სპანური „ვილიარეალის" ფორვარდ ჯუზეპე როსის იგნორირებისთვის.

„საინტერესოა, რატომ ვერ ხედავს მწვრთნელი როსის. იგი მშვენივრად თამაშობს ესპანეთის პრიმერადივიზიონში და უკვე 5 გოლის გატანა მოასწრო 7 მატჩში".

როსი 21 წლის ყმაწვილია, შარშანდელი სეზონი „მანჩესტერ იუნაიტედში" დაიწყო, მერე „პარმაში" გაანათხოვრეს, რომელიც სწორედ ჯუზეპეს გოლებით გადაურჩა სერია A-დან გავარდნას.

დონადონის ფაბიო კალიარელას გამოძახებისთვისაც უსაყვედურეს. ამ თავდამსხმელმა ზაფხულში ლიტვას სტუმრად დუბლი კი შეუსრულა, მაგრამ რაც სერია A დაიწყო, ღირებული არაფერი გაუკეთებია.

ასევე გაურკვევლად მიიჩნიეს კრისტიან ლუკარელიზე დაყრდნობა, რომელიც დონეცკის „შახტარში" თამაშობს — სპეციალისტთა და გულშემატკივართა აზრით, მის ნაცვლად როსი უნდა გამოეძახებინათ. ასევე გაჟღერდა „ჯენოას" ფორვარდ მარკო ბორიელოს გვარიც, მაგარ ფორმაშიაო.

და ახალი, გუშინდელი ამბავი: „სკუადრას" ვარჯიშზე მცირე ტრავმები მიიღეს „იუვენტუსის" ფორვარდმა ვინჩენცო იაკინტამ და „მილანის" ნახევარმცველმა მასიმო ამბროზინიმ.



იტალიელები გუშინდელ ვარჯიშზე

AFP

ნაკრების ექიმი ანდრეა ფერეტი ამბობს: „იაკინტა სამი დღე დაისვენებს, ვერ ივარჯიშებს. ასე რომ, მისი საქართველოსთან თამაში საეჭვოა. ამბროზინის მდგომარეობა კი გაცილებით მსუბუქია, იგი 13 ოქტომბრისთვის მწყობრში იქნება".

დისკვალიფიცირებულია ფაბიო კანავარო, ტრავმირებულები არიან მაურო კამორანეზი, ჯანლუკა ძამბროტა, მარკო მატერაცი, ალბერტო აკვილანი და სიმონე პეროტა. პლუს, დონადონიმ არ გამოიძახა ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი, ალბერტო ჯილარდინო და ტომაზო როკი — მოკლედ, „სკუადრა" დალხენილი არ გვხვდება.

სპეციალისტთა ვარაუდით, ქართველებთან სანაკრებო დებიუტი ექნება „ფიორენტინას" 26 წლის ალესანდრო გამბერინის, რომელიც დაცვის ცენტრში პალერმოელ ანდრეა ბარძალის შეუწყვილდება. ფლანგებზე კი, სავარაუდოდ, მასიმო ოდო და ჯორჯო კიელინი დადგებიან. ნახევარდაცვა ერთადერთი რგოლია „სკუადრაში", რომლის ძირითადში დამწყებთა გვარები ეჭვს არ იწვევს — ჯენარო გატუზო, დანიელე დე როსი და ანდრეა პირლო.

ასევე ცხადია, რომ ცენტრფორვარდად ლუკა ტონი ითამაშებს, რომელსაც ბრწყინვალე ფორმაში მყოფი უდინეზელი ანტონიო დი ნატალე და ვინჩენცო იაკინტა (თუ ტრავმა მოირჩინა) ამოუდგებიან.

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

| |
|---|
| კონფერენსლიგა. XV ტური |
| ალდერშოტი 2:0 გრეივსენდი |
| ალტრინჩემი 0:0 ბარტონი |
| კემბრიჯი 1:0 რაშდენი |
| ძროული 1:0 ჰისტონი |
| დროილსდენი 0:3 ფერსლი |
| ექსეტერი 4:2 სალისბერი |
| ფორესტ გრინი 4:1 ნორსვიჩი |
| გრეისი 0:2 ვეიმუთი |
| კიდერმინსტერი 1:0 ჰალიფაქსი |
| სტივენეიჯი 1:1 უოქინგი |
| იორკი 2:0 სტაფორდი |
| LDV VANS TROPHY. II ეტაპი |
| მორეკემბი 2:2 (4:2პ) პორტ ვეილი |
| როჩდეილი 1:3 ბერი |
| როტერჰემი 1:1 (2:4პ) გრიმსბი |
| სუონსი 2:0 უიკომბი |
| ლინკოლნი 2:5 ჰარტლპული |
| მაკლსფილდი 0:1 სტოკპორტი |
| დარლინგტონი 0:1 ლიდსი |
| ლეიტონი 0:1 დაგენემი |
| ბრაიტონი 2:1 ბარნეტი |
| როვერსი 0:1 ბორნმუთი |
| კარლაილი 4:2 ჩესტერი |
| ჯილინგემი 4:3 ლუთონი |
| ჰერეფორდი 0:0 (2:4პ) იოვილი |
| დონსი 3:1 პიტერბრო |
| სუინდონი 1:3 ჩელტენემი |

### შოტლანდია

| |
|---|
| III დივიზიონი. IX ტური |
| ალბიონი 2:1 ფორფარი |

### შვედეთი

| |
|---|
| სუპერეტა. XXVII ტური |
| სუნდსვალი 2:0 იორგრიტე |

### ირლანდია

| |
|---|
| ლიგის თასის ფინალი |
| დერი 1:0დ.დ. (0:0) ბოჰემიანსი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბლატერი და პლატინი ქალბატონმა გვახარა

## ნოდარ ახალკაცი: ვიცი, რაც ხდება თბილისში



საქართველოს ეროვნული ნაკრები უკვე გენუაშია და 13 ოქტომბერს იტალიის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ ემზადება. გუნდთან ერთადაა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ და, ცხადია, თავიდან ჩვენი ნაკრების მზადებაზე ვკითხეთ...

— ფაქტობრივად, გუნდი სრული შემადგენლობით დღეს შეიკრიბა და სავარჯიშო პროცესიც სრული დატვირთვით მიმდინარეობს. როგორც ვიცით, პირველი ვარჯიშზე არ ყოფილა ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი — მისი ტრავმა სერიოზული ხომ არ არის?

— საბედნიეროდ, მალხაზს ისეთი არაფერი სტკივა, რომ იტალიასთან ვერ ითამაშოს. უბრალოდ, პირველ დღეს დასვენება ურჩიეს. დანარჩენები კი, ვინც აქ არის, ჯანმრთელად არიან.

— 17 ოქტომბერს თბილისში ფიფას და უეფას პრეზიდენტები, იოზეფ ბლატერი და მიშელ პლატინი ჩამოვლენ. ეს მოულოდნელი ხომ არ იყო თქვენთვის? მით უმეტეს, ამის თაობაზე აქამდე არაფერი თქმულა და თითქოს ყველაფერი ძალიან სწრაფად გაცხადდა...

— სიმართლე გითხრათ, მეტ-ნაკლებად სპონტანური ვიზიტი კი არის. იოზეფ ბლატერი და მიშელ პლატინი სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციებს შორის დაძაბული ურთიერთობის დასარეგულირებლად ჩადიოდნენ ამ ქვეყნებში. თანაც, მალე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება და მათ აინტერესებთ, როგორ მდგომარეობაა სხვადასხვა ქვეყნებში ფეხბურთის განვითარების მხრივ. ამის შემდეგ, როგორც ვიცოდით, ისინი, წესით, შვეიცარიაში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ფიფადან ქალბატონი ევა პასკიე შეგვეხმიანა და ეს სასიხარულო ცნობაც მოგვაწოდა.

— და მაინც როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტეს ფიფას და უეფას ხელმძღვანელებმა საქართველოში ჩამოსვლა?

— ისინი კმაყოფილები არიან საქართველოში მიმდინარე პროცესებით, კერძოდ, თუ როგორ უდგას სახელმწიფო გვერდით ჩვენს ფეხბურთს. ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოში დაგეგმილი 30 მინი-მოედნის ნაცვლად 70 გაკეთდა და კიდევ ბევრ სიახლეს ვგეგმავთ სახელმწიფოსთან ერთად. სწორედ ეს არის მათი ჩამოსვლის მიზეზი და, ვფიქრობთ, ეს არა მარტო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვისაა დიდი პატივი, არამედ მთელი ქვეყნისთვის.

— ამჟამად საქართველოში არ იმყოფებით, მაგრამ ალბათ გეცოდინებათ, რომ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტი დაატოვებინეს ბადრი პატარკაციშვილს. თქვენ ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრიც ხართ და როგორია თქვენი პოზიცია?

— ყველაფრის საქმის კურსში ვარ. დღევანდელ აღმასკომის სხდომაზე გახლდათ ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და მან დააფიქსირა ჩვენი ფედერაციის პოზიცია. ცხადია, ვეთანხმებით უმრავლესობის აზრს.

**ნუკრი ლოლაძე**



მიშელ პლატინი და იოზეფ ბლატერი



# დათარსული 2007

## ლევან კობიაშვილი: იტალიასთან შანსებზე ნუღარ ვილაპარაკებთ

ლევან კობიაშვილმა იტალიასთან ვერც შარშან ოქტომბერს ითამაშა თბილისში და ვერც გენუაში ითამაშებს 13 ოქტომბერს. ის კი არა, საქართველოს ნაკრებისა და გელზენკირხენის „შალკეს" ერთ-ერთი ლიდერი წლეულს საერთოდ გავა თუ არა მინდორზე, საკითხავია. ბოლო 7-8 თვეა, კობის ტრავმები გამუდმებით დასდევს, გადაბმულად 5 მატჩზე მეტი არ ჩაუტარებია. ნაკრების მოახლოებული მატჩები, „შალკეს" ბუნდესლიგური და ჩემპიონთალიგური ამბები — ლევანს ამ ყველაფერზე ვკითხეთ, თავიდან კი, ცხადია, ჯანმრთელობით დავიწყეთ...

— ძალიან გაწბილებული ვარ. ამდენმა ტრავმებმა უკვე დამღალა. სულ ცოტა, ექვსი-შვიდი კვირა ვერ ვითამაშებ, ბუნებრივია, წლეულს ნაკრებს ველარ დავეხმარები, ეგაა, შესაძლოა, ბუნდესლიგის პირველი წრის რამდენიმე მატჩში მოვასწრო თამაში, თუმც ესეც ძალიან საეჭვოა.

— არადა, ტრავმა თითქოს მორჩენილი გქონდა, რამდენიმე თამაშიც გამოტოვე და რატომღა გაგიმიზეზდა?

— „დუისბურგთან" ბოლო 15 წუთი ვითამაშე, ბრძოლაშიც შევედი და არანაირი შეფერხება არ მიგრძნია, ჩვეულებრივი დატვირთვა მივიღე. მეორე დღესაც ვივარჯიშე, ბერლინის „ჰერტასთან" თამაშისას კი კუნთი გამიწყდა. თან ისე მოხდა, რომ „შალკეს" სამივე შეცვლა გაკეთებული ჰქონდა და ბოლო 10 წუთი, ფაქტობრივად, მოედანზე ვიდექი, გუნდს ვერაფრით ვეხმარებოდი.

— არადა, „შალკესაც" კარგი პერიოდი ჰქონდა და შენც არ იყავი ცუდ ფორმაში...

— ასეა, მაგრამ... ახლა აზრი აღარ აქვს იმის გარჩევას, ექიმები შეცდნენ თუ მე. შესაძლოა, ნაადრევად მომიწია ვარჯიშის დაწყებამ. ფაქტია, ეს წელიწადი ჩამივარდა: წლის დასაწყისშივე დამეწყო უიღბლობა და ბოლომდე გამყვა, სულ რაღაც მაწუხებდა. არადა, ყოფილა სეზონები, 50-ზე მეტი მატჩი მითამაშია.

— „შალკეს" დღევანდელ მდგომარეობაზე რას იტყვი? მოახერხებს გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას?

— ძალიან გაჭირდება, თუმც ისეც არაა, „ბაიერნი" დაუმარცხებელი რომ ჰგონიათ. მიუნხენელები მართლაც მაგარ ფორმაში არიან, რიბერი, კლოზე თუ ტონი საუკეთესოები არიან, მაგრამ „შალკეს" შეუძლია, მათ ნერვები აუწეწოს.

— შენმა გუნდმა შინ წააგო „კარლსრუესთან", სადაც ალექსანდრე იაშვილი თამაშობს. როგორ აფასებ, „კარლსრუეს" მეორე ადგილზე ყოფნა დროებითია თუ ბოლომდე შეუძლია გაქაჩვა?

— ნამდვილად კარგი გუნდია, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს და გულშემატკივრებსაც მოსწონთ. „კარლსრუე" შემთხვევით არაა მეორე ადგილზე, მაგრამ ბოლომდე გაქაჩავს თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. კონკრეტულად ამ მომენტისთვის კი იაშვილის გუნდი მართლა მაგარია და იმ ადგილზეა, სადაც უნდა იყოს. ვისურვებდი, რომ „კარლსრუემ" დიდხანს შეინარჩუნოს ფორმა, ჩემი მეგობრის წარმატება როგორ არ გამიხარდება...

— ჩემპიონთა ლიგაში კი „შალკე" მძიმე ჯგუფში მოხვდა. თუ ვერ გახვედით, დიდ წარუმატებლობად ჩაითვლება?

— ყოველ შემთხვევაში, ტრაგედიად ნამდვილად არ ჩაითვლება. ყველამ იცის, რომ „ჩელსი" და „ვალენსია" ჩვენზე ძლიერი გუნდები არიან, ამიტომაც მესამეზე გასვლა და უეფას თასზე გადასვლა წარუმატებლობა არ იქნება. ცხადია, იმას არ ვამბობ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი არ გვაქვს — „შალკემ" „როზენბორგთან" მოიგო, ახლა კი „ჩელსისთან" ორი მატჩი ბევრს გადაწყვეტს. ნორვეგიაში რომ წაგვეგო, მაშინ კი ნაღდად აზრი აღარ ექნებოდა ჩვენ ბრძოლას.

— ახლა საქართველოს ნაკრებზეც: ბევრ ჩვენს ლეგიონერს უთქვამს, იტალიასთან თამაში გამოგვდისო...

— მეც ასე ვფიქრობ. თუ რომელიმე გრანდთან წაგვიგია და კარგად გვითამაშია, სწორედ იტალიასთან. ვიცი, გულშემატკივარს ყელში აქვს ამოსული კარგი თამაში და წაგება, მაგრამ ფაქტია, იტალიელებთან ასე ხდება.

— და რატომ იტალიასთან? ვთქვათ, იგივე საფრანგეთთან, ადრე კი გერმანიასთან და ინგლისთან რატომ არ გამოგვივიდა?

— საფრანგეთისგან განსხვავებით, იტალია დაცვით ფეხბურთს თამაშობს. ისინი სათამაშო სქემას ხშირად ცვლიან, მაგრამ დაცვით სტილს თითქმის არასოდეს ღალატობენ. ოღონდ, შანსებზე ნუ ვილაპარაკებთ: მსოფლიოს ჩემპიონებთან სტუმრად, ისიც განახევრებული შემადგენლობით თამაშისას ქულების აღებაზე წინასწარ ლაპარაკი ზედმეტი მგონია...

**ილია ნანობაშვილი**

9 ოქტომბერს დილით ჩეხეთში მყოფ ფკ ამერის ფეხბურთელ რატი წინამძღვრიშვილს მუხლზე მეორე გეგმიური ოპერაცია გაუკეთდა.

ოპერაციამდე რატის სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა და როგორც მისმა ექიმმა, პროფესორმა ლადისლავ ვანეჩეკმა გვაცნობა, პირველი ოპერაციისა და რეაბილიტაციის საწყისი ეტაპის შედეგები აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია.

პროფესორ ვანეჩეკისვე თქმით, მეორე გეგმიურმა ოპერაციამაც ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა და უახლოეს მომავალში რატი წინამძღვრიშვილი რეაბილიტაციის მეორე კურსის გავლას დაიწყებს.

**ფკ ამერის პრესსამსახური**



რატი წინამძღვრიშვილი და დავით კაკაბაძე

# კარგი ამბები რატი წინამძღვრიშვილზე

## ამერის თავდამსხმელმა მეორე ოპერაცია გაიკეთა

„ამერის" პრესსამსახურის გავრცელებული ინფორმაციით, ამ გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელმა რატი წინამძღვრიშვილმა გუშინ ჩეხეთში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ექიმები შედეგით კმაყოფილნი არიან.

დამატებითი ცნობების მისაღებად გუშინვე დავით კაკაბაძეს შევეხმიანეთ, ვინც პრაღაში ცხოვრობს და რადიო „თავისუფლების" ქართული სამსახურის დირექტორია. რატი ჰოროვიცეს კლინიკის ორთოპედიულ განყოფილებაში სწორედ დავით კაკაბაძის რეკომენდაციით მოხვდა და რატის ჩეხეთში ყოფნის პერიოდში მეურვეობასაც უწევს.

— რატის ქირურგს ლადისლავ ვანეჩეკს ოპერაციის წინა საღამოსაც ვესაუბრე და ოპერაციის მერეც. ოპერაციის წინ აშკარად კმაყოფილი იყო. ადრეც ნათქვამი ჰქონდა, რომ სარეაბილიტაციო პერიოდში პაციენტი ექიმის მითითებებს თუ ზუსტად არ შეასრულებდა, მხოლოდ ოპერაცია ეფექტური ვერ იქნებოდა. ახლა რომ გასინჯა, მითხრა, აშკარად ჩანს, რომ პირველი ოპერაციის მერე რატის ყველა ჩემი დავალება გულმოდგინედ შეუსრულებია, ნამდვილი პროფესიონალი ყოფილა და მუხლი მეორე ოპერაციისთვის მზად აქვსო. ვანეჩეკი დამპირდა, რომ ოპერაციის დასრულებისთანავე თავად დამირეკავდა და შედეგს მეტყოდა...

...მართლაც, ოპერაცია დასრულდა თუ არა, მაშინვე დამირეკა. ძალიან კმაყოფილი იყო, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და დარწმუნებული ვარ, რეაბილიტაციის კურსის გავლის მერე რატი ფეხბურთის თამაშს შეძლებსო...

...საერთოდ, ექიმები ერიდებიან ასე დამაიმედებლად ლაპარაკს, ჩვეულებრივ, თავს იზღვევენ ხოლმე და რაკი ვანეჩეკმა ასეთი რწმენით მითხრა, საუკეთესო შედეგში დარწმუნებული ვარო, ესე იგი, მართლაც ასეა.

**ლუკა თალაკვაძე**

ცხონებული ვიტალი დარასელიას 50-წლისთავთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ ეროვნულ სტადიონზე გამართულ ვეტერანთა მატჩს გოჩა ჯამარაულიც ესწრებოდა. ახლა უკვე ჯამარაულიც ვეტერანია ფეხბურთისთვის, თუმც ახლო წარსულის — ქართველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ მისი ფინტები, პასები, თამაშის რბილი მანერა... გოჩას ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე ვესაუბრეთ: ეროვნული ნაკრები, მისი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი, ბავშვთა ფეხბურთი...



# გოჩა ჯამარაული: კლაუს ტოპმიოლერს საქართველო არ ეკუთვნის

— ვიტალი დარასელია დიდი ფეხბურთელი იყო. მან ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ღირებული გოლი გაიტანა და ქართველ ხალხს უდიდესი სიხარული მიანიჭა. კარგია, ეს მატჩი რომ ჩატარდა და ასეთი თამაშები მომავალში კიდევ უფრო მეტი უნდა გაიმართოს.

**— არ შემიძლია, ერთი რამ არ გკითხოთ: თქვენ გიორგი ნემსაძის ახლო მეგობარი ხართ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის არჩევნებშიც მხარში ედექით. ნემსაძემ ყველასთვის გამაოგნებელი გადაწყვეტილება მიიღო და გაპრეზიტენდებიდან რამდენიმე წუთში გადადგა. საინტერესოა, ეს ნაბიჯი როგორ აგიხსნათ მეგობრებს?**

— ამ ამბის გახსენებაზე ახლაც გული მტკივა. გიორგიმ არჩევნებში გაიმარჯვა და რამდენიმე წუთში მოუხდა თანამდებობიდან წასვლა. რაღა ახსნაა საჭირო?! ყველაფერი ნათელია, რატომაც გადადგა მან ეს ნაბიჯი...

**— საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელ მატჩებზე რას იტყვით?**

— რა არის სათქმელი?! ყველა ვხედავთ, რომ ნაკრების თამაში აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს.

**— და ამ გადასახედიდან კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივება როგორ ნაბიჯად მიგაჩნიათ?**

— რა შედეგებიც ტოპმიოლერს საქართველოში აქვს, ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ ეკუთვნის. მისი წასვლა-დარჩენის საკითხს ფედერაცია წყვეტს და ალბათ მათ აქვთ იმედი, რომ მომავალ შესარჩევში ტოპმიოლერი შედეგს მიაღწევს.

**— თქვენი აზრით, რამდენად რეალურია, რომ საქართველოს ნაკრები მომავალ შესარჩევ ციკლში წარმატებით გამოვიდეს?**

— უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ჯგუფში მოვხვდებით. აი, ამის შემდეგ შეიძლება შანსებზე საუბარი.

**— უკვე საკმაო ხანია, ფეხბურთს შეეშვით. თქვენმა დროინდელმა საქართველოს ნაკრებმა კი, სადაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოდიოდა, სერიოზულ შედეგს ვერა და ვერ მიაღწია...**

— ამას მეკითხებოდნენ შვეიცარიაშიც და უკრაინაშიც, როცა იქ ვთამაშობდი. ყველას უკვირდა, შედეგს რომ ვერ ვაღწევდით. ჩემი აზრით, ეს მწვრთნელების ბრალი ნაკლებად იყო. ფეხბურთელებმა რაღაც დავაკელით და ამ თაობამაც ამიტომ ვერ მიაღწია მიზანს.

**— თქვენს მეგობარ გიორგი ნემსაძეს თავისი საფეხბურთო სკოლა აქვს. თქვენც ხომ არ აპირებთ ამგვარი სკოლის გახსნას?**

— ამაზე მართლაც ვფიქრობდი, მაგრამ დღეს საფეხბურთო სკოლის გახსნა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, უნდა შეიძინო მიწა და ამის გარდა კიდევ უამრავი რამე სჭირდება კარგი სკოლის გაკეთებას.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში ბავშვთა ფეხბურთს ეთმობა იმდენი ყურადღება, რამდენიც საჭიროა?**

— სამწუხაროდ, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას საქართველოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ერთი რამე აუცილებლად უნდა ვთქვა: ბავშვებმა ხელოვნურსაფარიან მოედანზე არ უნდა ივარჯიშონ. მათ სუსტი სახსრები აქვთ და ხელოვნურსაფარიანი მოედანი ტრავმიანობას უწყობს ხელს. პატარაობიდანვე ტრავმებს რომ მიიღებს, შემდეგ დიდი ფეხბურთის თამაში გაუძნელდება. ამიტომ აუცილებელია, ბავშვები ბალახზე გაიზარდონ.

**ნუკრი ლოლაძე**

# შოტლანდიას კოლდუელიც დააკლდა

**შოტლანდიის** ნაკრებს წამყვანი მცველი გარი კოლდუელი დააკლდა.

გლაზგოს „სელტიკის" ფეხბურთელმა მუხლი და კოჭი ერთად დაიზიანა, რის გამოც ვერც 13 ოქტომბერს უკრაინასთან და ვერც 17-ში საქართველოსთან ვერ ითამაშებს.

კოლდუელი ის ფეხბურთელია, რომელმაც შარშან საფრანგეთთან 1:0 მოგებულ საშინაო მატჩში გაიტანა.

**ილია ნანობაშვილი**

# მამლების სია საამ შეათხელა

**ჩვენს** თანაჯგუფელ საფრანგეთის ნაკრებს მოახლოვებულ ევროშესარჩევ მატჩებში, ფარერებთან და ლიტვის ნაკრებებთან ვერ დაეხმარება ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ლუი საა, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებს.

წესით, ფრანგებისთვის საას არყოფნა დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, ფარერებთან და ლიტვასთან, თუმცა ისიცაა, რომ რაიმონ დომენეკის გუნდი ჯგუფში მეორე ადგილზეა და ეს ექვსი ქულა ჰაერივით სჭირდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# სკოლბურთმა ზუგდიდი ბარსელონაში წაიყვანა

**სკოლბურთში** „პეპსის" თასის გამარჯვებული ზუგდიდის ნომერ პირველი საჯარო სკოლის გუნდი გახდა.

ახლა ზუგდიდელი ბავშვები ესპანეთში, კერძოდ, ბარსელონაში მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობს და 15 ოქტომბერს დაიწყება.

ქართველი ბავშვები სამ თამაშს გამართავენ, ტურნირის შემდეგ კი საშუალება ექნებათ, კატალონიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერონ.

შეგახსენებთ, რომ სკოლბურთის ფედერაციამ შარშან ჩაუყარა საფუძველი.

**ნუკრი ლოლაძე**

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

ოლიმპი 2 5:0 ოლიმპიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 8 | 5 | 2 | 1 | 17:14 | 17 |
| მეშაქრე | 8 | 5 | 1 | 2 | 17:9 | 16 |
| ამერი 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 16:11 | 14 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 3 | 4 | 1 | 8:3 | 13 |
| დინამო 2 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| ოლიმპი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:7 | 9 |
| ოლიმპიკი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:12 | 9 |
| ჩიხურა | 8 | 2 | 3 | 3 | 8:13 | 9 |
| კახეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:16 | 1 |

# UEFA CUP უეფას თასი 2007-08. ჯგუფური ეტაპი. წილისყრა

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალკმაარი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ზენიტი (რუსეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ევერტონი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ნიურნბერგი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ლარისა (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ევერტონი — ლარისა<br>ზენიტი — ალკმაარი |
| 8 ნოემბერი | ლარისა — ზენიტი<br>ნიურნბერგი — ევერტონი |
| 29 ნოემბერი | ალკმაარი — ლარისა<br>ზენიტი — ნიურნბერგი |
| 5 დეკემბერი | ნიურნბერგი — ალკმაარი<br>ევერტონი — ზენიტი |
| 20 დეკემბერი | ალკმაარი — ევერტონი<br>ლარისა — ნიურნბერგი |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | ლოკომოტივი (რუსეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ატლეტიკო (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | კოპენჰაგენი (დანია) | | | | | | | | | | | |
| 5 | აბერდინი (შოტლანდია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | პანათინაიკოსი — აბერდინი<br>ლოკომოტივი — ატლეტიკო |
| 8 ნოემბერი | აბერდინი — ლოკომოტივი<br>კოპენჰაგენი — პანათინაიკოსი |
| 29 ნოემბერი | ატლეტიკო — აბერდინი<br>ლოკომოტივი — კოპენჰაგენი |
| 5 დეკემბერი | კოპენჰაგენი — ატლეტიკო<br>პანათინაიკოსი — ლოკომოტივი |
| 20 დეკემბერი | ატლეტიკო — პანათინაიკოსი<br>აბერდინი — კოპენჰაგენი |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილიარეალი (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | აეკ (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ფიორენტინა (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ბოლესლავი (ჩეხეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ელფსბორგი (შვედეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ვილიარეალი — ფიორენტინა<br>ელფსბორგი — აეკ |
| 8 ნოემბერი | ფიორენტინა — ელფსბორგი<br>ბოლესლავი — ვილიარეალი |
| 29 ნოემბერი | აეკ — ფიორენტინა<br>ელფსბორგი — ბოლესლავი |
| 5 დეკემბერი | ბოლესლავი — აეკ<br>ვილიარეალი — ელფსბორგი |
| 20 დეკემბერი | აეკ — ვილიარეალი<br>ფიორენტინა — ბოლესლავი |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაზელი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ჰამბურგი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 3 | რენი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | დინამო (ხორვატია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ბრანი (ნორვეგია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ბაზელი — რენი<br>ბრანი — ჰამბურგი |
| 8 ნოემბერი | რენი — ბრანი<br>დინამო — ბაზელი |
| 29 ნოემბერი | ჰამბურგი — რენი<br>ბრანი — დინამო |
| 5 დეკემბერი | დინამო — ჰამბურგი<br>ბაზელი — ბრანი |
| 20 დეკემბერი | ჰამბურგი — ბაზელი<br>რენი — დინამო |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევერკუზენი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 2 | სპარტა (ჩეხეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | სპარტაკი (რუსეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ტულუზი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ციურიხი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ლევერკუზენი — ტულუზი<br>სპარტა — ციურიხი |
| 8 ნოემბერი | ტულუზი — სპარტა<br>სპარტაკი — ლევერკუზენი |
| 29 ნოემბერი | ციურიხი — ტულუზი<br>სპარტა — სპარტაკი |
| 6 დეკემბერი | სპარტაკი — ციურიხი<br>ლევერკუზენი — სპარტა |
| 19 დეკემბერი | ციურიხი — ლევერკუზენი<br>ტულუზი — სპარტაკი |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ბოლტონი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ბრაგა (პორტუგალია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | არისი (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ცრვენა ზვეზდა — ბაიერნი<br>ბოლტონი — ბრაგა |
| 8 ნოემბერი | ბაიერნი — ბოლტონი<br>არისი — ცრვენა ზვეზდა |
| 29 ნოემბერი | ბრაგა — ბაიერნი<br>ბოლტონი — არისი |
| 6 დეკემბერი | არისი — ბრაგა<br>ცრვენა ზვეზდა — ბოლტონი |
| 19 დეკემბერი | ბრაგა — ცრვენა ზვეზდა<br>ბაიერნი — არისი |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანდერლეხტი (ბელგია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ტოტენჰემი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ხეტაფე (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ჰაპოელი (ისრაელი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ოლბორგი (დანია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ანდერლეხტი — ჰაპოელი<br>ტოტენჰემი — ხეტაფე |
| 8 ნოემბერი | ჰაპოელი — ტოტენჰემი<br>ოლბორგი — ანდერლეხტი |
| 29 ნოემბერი | ხეტაფე — ჰაპოელი<br>ტოტენჰემი — ოლბორგი |
| 6 დეკემბერი | ოლბორგი — ხეტაფე<br>ანდერლეხტი — ტოტენჰემი |
| 19 დეკემბერი | ხეტაფე — ანდერლეხტი<br>ჰაპოელი — ოლბორგი |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბორდო (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | აუსტრია (ავსტრია) | | | | | | | | | | | |
| 3 | გალათასარაი (თურქეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | პანიონიოსი (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 25 ოქტომბერი | ბორდო — გალათასარაი<br>ჰელსინგბორგი — პანიონიოსი |
| 8 ნოემბერი | გალათასარაი — ჰელსინგბორგი<br>აუსტრია — ბორდო |
| 29 ნოემბერი | პანიონიოსი — გალათასარაი<br>ჰელსინგბორგი — აუსტრია |
| 6 დეკემბერი | აუსტრია — პანიონიოსი<br>ბორდო — ჰელსინგბორგი |
| 19 დეკემბერი | პანიონიოსი — ბორდო<br>გალათასარაი — აუსტრია |

# გინდათ რაული? ინებეთ ტამუდო!



**რაული** ესპანეთის ნაკრების ფორმას ველარ მოირგებს, ყოველ შემთხვევაში, სანამ „ფურია როხას“ მწვრთნელად ჯიუტი მოხუცი ლუის არაგონესი იქნება, გონსალეს ბლანკოს ეროვნულ გუნდს არავინ გააკარებს.

„ელ საბიომ“ დანიასთან უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ „რეალის“ კაპიტანი ნაკრებში ისევ არ გამოიძახა. ანუ რა გამოდის, ვარაუდები და იმედები იმის თაობაზე, რომ სენიორ არაგონესი მოლბებოდა და „სამეფო შეიდიანს“ მთავარ მატჩში ნდობას გამოუცხადებდა, ილუზია აღმოჩნდა. ლუისს რაული არ მოსწონს და როგორ საუკეთესო ფორმაშიც არ უნდა იყოს „რეალის“ კაპიტანი, ეროვნულ გუნდში არ გამოიძახებს.

შაბათს „ესპანიოლთან“ საპრიმერო მატჩში ვალენსიელმა დავიდ ვილიამ ტრავმა მიიღო, ეს თითქოს რაულისთვის ნაკრების კარიბჭის გახსნას ნიშნავდა, მაგრამ ამაოდ — „ელ საბიომ“ გონსალეს ბლანკო დაივიწყა და აქცენტი მეორე რაულზე, ოღონდ ტამუდოზე გადაიტანა.

მწვრთნელს ჟურნალისტებისთვის ცინიკურად ისიც კი უთქვამს, რა გინდათ, რაული გსურდათ და დანიასთან სწორედ ამ სახელის მქონე ფეხბურთელი ითამაშებსო.

„მთავარმა“ რაულმა ესპანეთის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ბოლოს 2006 წლის 6 სექტემბერს ითამაშა, მაშინ, როდესაც ჩრდილოირლანდიელებმა ესპანეთს ბელფასტში ცივი შხაპი მიალებინეს. აქედან ერთი თვის შემდეგ ესპანელები შვედეთში იმობდნენ, არაგონესმა კი „რეალის“ კაპიტანი განაცხადში არ შეიყვანა. რაულთან დაკავშირებული სკანდალური სიტუაციაც მაშინ დაიწყო.

1996 წლიდან მოყოლებული, როდესაც რაული 19 წლის იყო, სანაკრებო შეხვედრებში არც ერთ მწვრთნელს არ დაუჩაგრავს, რაული თამაშობდა ხავიერ კლემენტეს დროს, ხოსე ანტონიო კამაჩოს მწვრთნელობისას, ინაკი საესთან და ლუის არაგონესთან ერთად (სანამ მოხუცი გაჯიუტდებოდა), ახლა კი...

**ლადო ხომერიკი**



# ნოვოტნი გააცილეს

**20 ათასი** ქომაგი დაესწრო კარლსრუეში მატჩს, რომელიც ფეხბურთიდან იენს ნოვოტნის გასაცილებლად მოეწყო.

ერთმანეთს შეხვდნენ ნოვოტნის მეგობრები და „კარლსრუე“.

მეგობრების გუნდში იყვნენ ოლივერ ნოივილი, თომას ჰესლერი, იენს ლემანი, პერ მერტესაკერი, კევინ კურანი, ჯერალდ ასამოა და სხვანი.

„კარლსრუე“, რომელშიც ნოვოტნი ხუთი სეზონი (1991-1996) თამაშობდა, 6:8 დამარცხდა.

გერმანიის ნაკრების ყოფილმა მცველმა კარიერა წლეულს 22 იანვარს დაასრულა, მორიგი ტრავმის გამო. იგი „კარლსრუეს“ შემდეგ „ლევერკუზენში“ იყო (1996-2006), ბოლოს კი ზაგრების „დინამოშიც“ ითამაშა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საბარგულში ვიღაც იჯდა

**ტურინის** „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი „ფიორენტინას“ სტადიონიდან საკუთარი ავტომობილის საბარგულში დამალული გაიყვანეს.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, კვირას „ფიორენტინა“ — „იუვეს“ მატჩის შემდეგ მეკარე „არტემიო ფრანკიზე“ შეყოვნდა. მარტო დარჩენილს მასპინძელთა ქომაგების შეეშინდა და ავტომობილის საბარგულში მოკალათდა.

უცნობია, ვინ იჯდა საჭესთან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ოდოს დარიგება

**„მილანის“** მცველმა მასიმო ოდომ ყოფილ გუნდს, „ლაციოს“ სატრანსფერო პოლიტიკა დაუწუნა. გასულ კვირას „შავ-წითლებმა“ რომში „ლაციო“ 5:1 გაანადგურეს, ოდომ კი თქვა: „კლუბში რაღაც უნდა შეიცვალოს, თორემ ასე საქმე ცუდად წაუვათ. ფეხბურთელები იზრდებიან, კლასს იმაღლებენ და მერე მათ ყიდიან, რადგან ძუნწობენ და ჯამაგირის მომატება არ უნდათ. თან ამ ზაფხულს სიძუნწის გამო წესიერი მეკარეც კი ვერ შეიძინეს.“

**ვაჟა ხუციშვილი**

# რაპიდში რედნიჩი დაბრუნდა

**ბუქარესტის** „რაპიდის“ მწვრთნელად მირჩა რედნიჩი დანიშნეს, რომელიც გუნდიდან სამი წლის წინ გაუშვეს.

„რედნიჩმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა“ — თქვა კლუბის გენმდივანმა კრისტიან კოსტაჩემ.

„რაპიდის“ იტალიელი თავკაცი კრისტიანო ბერგოლი ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს, მირჩა რედნიჩი კი ბუქარესტის „დინამოდან“ წავიდა. 2002-2004 წლებში მან „რაპიდს“ რუმინეთის თასი და სუპერთასი მოაგებინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რიბერიმ იტალია ჯგუფში ჩატოვა



**საფრანგეთის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ კიდევ უფრო დაძაბა ფრანგებსა და იტალიელებს შორის ურთიერთობა. მან განაცხადა, რომ ევრო 2008-ის მეორე შესარჩევი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე „მამლები“ და შოტლანდია გავლენ, „სკუადრა ატურა“ კი ჯგუფში ჩარჩება.

„არაფრის მეშინია, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ და შოტლანდია გავალთ, იტალია კი ჯგუფში ჩარჩება. შოტლანდიასთან შინ რომ წავაგებდით, ძნელი წარმოსადგენი და კიდევ უფრო რთული შესაგუებელი იყო. თუმცა, როგორც ვთქვი, მჯერა, ფინალური ეტაპის საგზურებს ჩვენ და სქოთები მოვიპოვებთ“ — განუცხადა რიბერიმ „დეილი რეკორდს“.

წესით, საფრანგეთს პრობლემა მართლაც არ უნდა შეექმნას, რადგან, ფაქტობრივად, უმოტივაციო ფარერებთან, ლიტვასთან და უკრაინასთან დარჩა სათამაშო. მეორე საგზურს კი შოტლანდია და იტალია გაითამაშებენ. გადამწყვეტი ალბათ 17 ნოემბრის შეხვედრა იქნება, როცა „სკუადრა ატურა“ სქოთებს ესტუმრება.

**გიორგი კაკაბაძე**

# არშავინი მამლებისთვის

**„სანის“** ცნობით, „ტოტენჰემი“ „ზენიტიდან“ ანდრეი არშავინის გადაბირებას აპირებს. „მამლებს“ მარცხენაფლანგელ [illegible] და არშავინი შეურჩევიათ.

„ტოტენჰემის“ მწვრთნელმა რუსის თამაში [illegible] მატჩიშ ნახა და უეფას თასზე „სტანდარდ“ — „ზენიტსაც“ დაესწრო.

# ანდერსონის გათხოვება

**„მანჩესტერის“** პორტუგალიელი ნახევარმცველი ანდერსონი, შესაძლოა, იანვარში სამშობლოში დააბრუნონ და ერთ-ერთ იქაურ კლუბს სეზონის ბოლომდე ათხოვონ.

ანდერსონი ამ ზაფხულს „სპორტინგიდან“ იყიდეს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაიხადეს.

# დიუფმა ნაკრები დაასრულა

**სენეგალელმა** ფორვარდმა ელ ჰაჯი დიუფმა სანაკრებო კარიერა დაასრულა.

ინგლისური „ბოლტონის“ ლეგიონერმა ეროვნული გუნდის შეფები უთავბოლობაში დაადანაშაულა და გადაწყვეტილებაც იმით ახსნა, რომ ფეხბურთელებს თავიანთი ხარჯებით უწევთ მგზავრობა სანაკრებო მატჩებზე, სენეგალის ფეხბურთის ფედერაცია კი რატომღაც პრემიებსაც არ იხდის.

# განელები მოლდოვაში შეიპარნენ

**მოლდოვის** მეორე დივიზიონის კიშინიოვის „ბეშიქთაშის“ ორი განელი ფეხბურთელი ქვეყანაში არალეგალურად შესულა. დევიდ ცელფერი და იახავა კრასიმი 2007-ის აგვისტოდან არიან მოლდოვაში და გუნდში თამაშობენ.

ქვეყნის საემიგრაციო სამსახურმა აღმოაჩინა, რომ საკუთარი ქვეყნის პასპორტის გარდა, ფეხბურთელებს არანაირი სხვა საბუთი არ გააჩნიათ, რაც მოლდოვაში ცხოვრების და მუშაობის უფლებას მისცემდა.

„ბეშიქთაშის“ თურქ პატრონს ოზდემირ ცარკან ჰამლის გამომძიებლებთან სიარული მოუწევს.

# ბრძოლა კოუტასთვის

**„იუვენტუსი“** და „ინტერი“ პორტუგალიელი მცველის მანუელ და კოშტას გადასაბირებლად იბრძვიან.

საფრანგეთში დაბადებული ფეხბურთელი ამჟამად პსჟ-ში თამაშობს, სადაც 2004-ში „ნანსიდან“ გადავიდა. იგი პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

პსჟ-ს „პორტუმ“ გასულ ზაფხულს 10 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

# ცოლ-შვილი მომენატრა

**„სელტას“** ბულგარელი მწვრთნელი ხრისტო სტოიკოვიჩი წავიდა და მის ნაცვლად ხუან რამონ კარო დანიშნეს.

სტოიკოვიჩი ვიგოურ კლუბში აპრილში მივიდა, მაგრამ პრიმერადივიზიონიდან გავარდნისგან ვერ იხსნა. მიუხედავად ამისა, გუნდში დატოვეს, თუმც „სელტამ“ ვერც სეგუნდადივიზიონში იყოჩაღა და შვიდი ტურის შემდეგ მეთერთმეტე ადგილზეა.

ბულგარელმა თქვა, რომ ვიგოში ცოლ-შვილი არ ახლდა, მათ გარეშე ვერ გაძლო და ამიტომაც გადადგა.

ხუან რამონ ლოპეს კარო „სელტამდე“ „რეალსა“ და „ლევანტეში“ მუშაობდა.

# პარაგვაის მუხლი და მხარი

**პარაგვაელი** ფორვარდი როკე სანტა კრუზი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ნაკრებს ვერ დაეხმარება. „ბლექბერნის“ თავდამსხმელს მუხლი სტკივა და ორკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.

მის ნაცვლად გუნდში „სერო პორტენიოს“ ფეხბურთელს ხორხე აჩუკაროს უხმეს.

პარაგვაელთა მეორე მეგოლე ნელსონ ვალდესიც მხრის ტკივილს უჩივის და მისი თამაში პერუსთან და ურუგვაისთან მატჩებშიც საეჭვოა.

# მომცენ და ვითამაშებ!

**ჩილეს** ნაკრების მცველი არტურო ვიდალი ბოიკოტით იმუქრება და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში არ ითამაშებს, თუ კუთვნილ პრემიას არ მიიღებს.

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემიონატზე მოგებული ბრინჯაოსთვის ფეხბურთელს 10 ათასი დოლარი ეკუთვნის.

„მწვრთნელ მარსელო ბიელსასთან ამის თაობაზე საუბარს ვაპირებ, რადგან ორი თვეა, ფულს ამაოდ ველოდები. თუ არ მომცემენ, ეროვნულ ნაკრებში არ ვითამაშებ“ — თქვა გერმანული „ლევერკუზენის“ მცველმა.

ჩილეს ფეხბურთის ფედერაციამ კი განაცხადა, რომ 20-წლამდელთა მუნდიალზე, არგენტინასთან ნახევარფინალის შემდეგ ჩილელმა ფეხბურთელებმა კანადის პოლიციასთან იჩხუბეს და ფულიც ამიტომ დაუკავეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# გალიანი მილანით ძალიან კმაყოფილია

## ნახვამდის რონალდოს დაბრუნებამდე



**იტალიური** „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ძალიან გახარებულია იმით, რომ „როსონერიმ" გასულ უქმეებზე „სტადიო ოლიმპიკოზე" „ლაციო" 5:1 გაანადგურა.

„ბიანკოჩელესტისთან" მატჩამდე „შავ-წითლებს" სერია A-ში პირველი ტურის მერე მიჯრით ხუთი მატჩი ვერ მოეგოთ და ამას ჩემპიონთა ლიგაში „ბენფიკასთან" გამარჯვების შემდეგ „სელტიკთან" მარცხიც მიაყოლეს.

„აქამდეც კარგად ვთამაშობდით, მაგრამ რატომღაც ან ვაგებდით ან ფრედ ვამთავრებდით მატჩებს. მაგალითად, სტუმრად „პალერმოსთან" უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე „ლაციოსთან", მაგრამ დავმარცხდით. „სელტიკთან" წაგებულ მატჩშიც მშვენივრად გამოვიყურებოდით. იმედია, უიღბლობა და გაუგებრობა უკან დარჩა და სწორ გზაზე დავბრუნდით. ყველას ძალიან გვიხარია, რომ „ბიანკოჩელესტისთან" ალბერტო ჯილარდინომ ნავსი გატეხა და ორი ჩინებული გოლი გაიტანა. მატჩის მერე, როცა გუნდი გასახდელში დაბრუნდა, მას ყველა ულოცავდა და ტაშს უკრავდა" — თქვა გალიანიმ.

„როსონერის" ვიცე-პრეზიდენტს რონალდოზეც ჰკითხეს. ვეტერანი ბრაზილიელი უკვე რა ხანია, ტრავმირებულია და ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია.

ადრიანო გალიანი: „იმედი მაქვს, რომ რონალდო ბოლომდე გამოჯანმრთელდება და 21 ოქტომბერს უკვე მინდორზე ვიხილავთ".

**გიორგი ძაძამიძე**

# ასეთ პრეზიდენტს რა ვუთხარ...

## ბეჰრამიმ ლოტიტო გააკრიტიკა

**გასულ** კვირას „ლაციო" შინ „მილანთან" სამარცხვინოდ, 1:5 დამარცხდა. დედაქალაქელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გაუძლო თავისი გუნდის წვალებას და პროტესტის ნიშნად მატჩის დასრულებამდე დატოვა სტადიონი.

ეს ამბავი „ბიანკოჩელესტის" შვეიცარიელმა გარემარბმა ვალონ ბეჰრამიმ რომ გაიგო, ლოტიტო საჯაროდ გააკრიტიკა, თუმცა მან ვერც ის უარყო, რომ „ლაციომ" ძალიან ცუდად ითამაშა.

„მე ლოტიტოს დარად არასდროს მოვიქცეოდი. მაშინაც კი, როცა შენი გუნდის საქმე კარგად არ მიდის, პრესას ზედმეტი სალაპარაკო არ უნდა მისცე, თუმცა იმას არ უარვყოფ, რომ კოშმარულად ვითამაშეთ და ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. ეს მხოლოდ დაცვის ბრალი კი არ იყო, თავდასხმაშიც ცუდად გამოვიყურებოდით. თუმცა, პირველ რიგში, დაცვაა მისახედი. ჩვენი მწვრთნელის დელიო როსისთვის თვალებში რომ შეგვეხედათ, მის მდგომარეობას მყისვე მიხვდებოდით. იგი ძალიან შეშფოთებული იყო, რადგან „ლაციოს" თავკაცობის პერიოდში „მილანთან" მატჩი ყველაზე უარესი გამოდგა" — აღნიშნა ბეჰრამიმ.

**კოკი ძანძელაძე**

## ფინეთს ორი გამოაკლდა

**ნახევარმცველები,** ტეემუ ტაინიო და იარკო ვისი ბელგიასთან ევროშესარჩევ მატჩში ფინეთს ვერ დაეხმარებიან. „ტოტენჰემის" ფეხბურთელმა ტაინიომ შაბათს „ლივერპულთან" შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო და ორი კვირა უქმობა მოუწევს.

ფინეთი 19 ქულით ჯგუფში მეორე ადგილზეა და პოლონეთს ერთით ჩამორჩება.

## მანჩესტერი გაუგრძელებს

**„მანჩესტერი"** ექვს ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს — წერს „თაიმსი". ალექს ფერგიუსონს გუნდის ბირთვის შენარჩუნება სურს.

კლუბის შეფები უკვე ესაუბრნენ ედვინ ვან დერ სარს და რაიან გიგზს, რომლებსაც ხელშეკრულება მომავალ წელს უმთავრდებათ.

გარდა ამისა, კონტრაქტზე ევაჭრებიან უესლი ბრაუნს, ნემანია ვიდიჩს, პატრის ევრას და ბენ ფოსტერს.

## ფეინდუნო ლივერპულმა მოიკითხა

**„ლივერპულს"** „სენტ ეტიენიდან" პასკალ ფეინდუნოს ყიდვა სურს — წერს „დეილი მეილი". გარიგება ალბათ იანვარში მოხდება. 26 წლის გვინეელს 3 მატჩში საშუალოდ 1 გააქვს, 1999-ში მისმა გოლმა „ბორდოს" ჩემპიონატი მოაგებინა.

გარდა ამისა, „ლივერპული" სელტელი ბორხა ობინიათიც დაინტერესებულა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მადლობა და ნახვამდის?

## იუვენტუსი უფრო დიდია, ვიდრე ალექს დელ პიერო

**ტურინის ,,იუვენტუსის" კაპიტანი და სიმბოლო ალესანდრო დელ პიერო კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალ კონტრაქტზე ჯერ ვერაფრით თანხმდება. ცნობილი იტალიელი ჟურნალისტი ანტონიო ლაბატე კი ფიქრობს, რომ იგი ,,ბიანკონერის" მიერ შეთავაზებულ პირობებს უნდა დათანხმდეს, თორემ კლუბის დატოვება მოუნევს...**

„იუვენტუსისთვის" ადვილი იქნება ალესანდრო დელ პიეროსთან ახალი კონტრაქტის გაფორმება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი კლუბის ლეგენდაა, ერთგული მსახური, რომელსაც ყველაფერი კარგი და ცუდი უნახავს ტურინელებთან ერთად, მას მერე, რაც ამ გუნდში გადავიდა 1993 წელს „პადოვადან". თუმცა „ბიანკონერიმ" საკუთარი მომავლისთვის სასარგებლო და სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ალექსი კი უფრო წარსულს ეკუთვნის.

მე არ ვამბობ, რომ „იუვემ" აუცილებლად უნდა გაუშვას დელ პიერო და ამას აპირებს. პირიქით, ტურინელებს აშკარად სურთ მისი შენარჩუნება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობებით, როგორსაც თავად აყენებენ.

კალჩოპოლის სკანდალმა „ბიანკონერის" სერიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა და დელ პიერო, რომელიც ნოემბერში 33 წლის გახდება, ნამდვილად არ უნდა ელოდოს იმას, რომ მას ხელფასს შეუნარჩუნებენ. გავრცელებული ცნობით, ალექსი ახლა სეზონში დაახლოებით 4,8 მილიონ ევროს იღებს.

პირდაპირ თუ ვიტყვით და დელ პიეროს მხოლოდ, როგორც ჩვეულებრივ ფეხბურთელს, შევაფასებთ და მის ახლანდელ ფორმას გავითვალისწინებთ, იგი ამხელა ხელფასს არ იმსახურებს. ის, შესაძლოა, 1997-98 წლების სეზონში მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, მაგრამ დღეს საოცარი „ფანტაზისტა" აღარ არის, რომელიც თითქოს იმიტომ იყო მოვლენილი, რომ 21-ე საუკუნის რობერტო ბაჯო გამხდარიყო. ალექსი კვლავ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ რეალურად არ შეუძლია იმ ყველაფრის კეთება, რაც მის ფეხებსა და გონებას სურს, რადგან სხეული და ასაკი ხელს აღარ უწყობს ერთმანეთს.

შესაძლოა, ჩვენც ზედმეტად ბევრს ველით დელ პიეროსგან, მაგრამ ბოლო წლებში იგი ხშირად რომ არის ფორმიდან ამოვარდნილი, ესეც ფაქტია. მართალია, ალექსს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექნება „იუვენტუსის" ქომაგთა გულებში, მაგრამ მას ყოველთვის არ ექნება ადგილი ტურინელთა შემადგენლობაში. ფაბიო კაპელო „ბიანკონერიში" ყოფნისას შეგნებულად და ხშირად ტოვებდა მას სათადარიგოთა სკამზე. არც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგია იტალიის ნაკრებს დელ პიეროს დირიჟორობით. როგორც ჩანს, იგი არც კლაუდიო რანიერისა და არც რობერტო დონადონისთვისაა ხელშეუხებელი. პირველმა ალექსი კვლავ არ ათამაშა ძირითად შემადგენლობაში, მეორემ კი ნაკრებში არ გამოიძახა.

დელ პიერომ უნდა იგრძნოს, რომ მისი როლი „იუვენტუსის" შემადგენლობაში იცვლება თუ უკვე შეიცვალა და ის კონტრაქტი, რომელსაც მას ახლა სთავაზობენ, რეალობასთან შეხამებულია. თუმცა ,ისიცაა, რომ „პინტურიკოს" სამართლიანი გრძნობა აქვს იმისა, რომ უნდა დაჯილდოვდეს იმ ყველაფრისთვის, რაც მან გააკეთა, რათა „ბებერი ქალბატონის" სახე და სიმბოლო გამხდარიყო. იგი კლუბის ერთგული დარჩა „ბიანკონერის" სერია B-ში დაქვეითების შემდეგაც. თუმცა ალექსი მხოლოდ რეპუტაციითა და კარიერით ვერ იცხოვრებს, იმ კარიერით, რომელიც ცხრა წლის წინ „უდინეზესთან" მატჩში მიღებულმა სერიოზულმა ტრავმამ შეუფერხა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „იუვენტუსი" უფრო დიდია, ვიდრე ალესანდრო დელ პიერო და ეს ყოველთვის ასე იქნება. „ბებერი ქალბატონი" ასევე ის გუნდია, რომელმაც უკვე რამდენჯერმე დაამტკიცა, რომ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია. დელ პიერომ ეს ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს, რადგან მას შანსი მაშინ მიეცა, როცა „იუვემ" 1995 წელს ასევე კონტრაქტზე შეუთანხმებლობის მიზეზით ბაჯო გაყიდა და ალექსმა მისი ადგილი დაიკავა.

ტურინელები გეუბნებიან — მადლობა და ნახვამდის. როგორც ჩანს, თუ დასჭირდათ, ისინი ახლაც იგივეს გააკეთებენ...

**ანტონიო ლაბატე**

# ეშმაკთან ურთიერთობის სურვილი არ მაქვს

## ალფრედო დი სტეფანოს მეორედ დაბადების სჯერა

მადრიდის „რეალისა“ და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ალფრედო დი სტეფანო ვალტერ ბენზემანის პრემიით დააჯილდოვეს. ამ ჯილდოს გერმანიის ფეხბურთის კულტურის აკადემია გადასცემს, ხოლო მისი სპონსორი პოპულარული გამოცემა „კიკერია“. დონ ალფრედოსაც „კიკერის“ ჟურნალისტი გაესაუბრა...




— თქვენს ცხოვრებაში უამრავი ჯილდო მიგიღიათ. ახლა კი „კიკერისა“ და ნიურნბერგის მუნიციპალიტეტის პრემიაც გადმოგცეს. ეს განსაკუთრებული ჯილდოა თქვენთვის?

— მინდოდა, გერმანიაში ჩამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი ავადმყოფი ფეხის შემხედვარემ ეს ვერ შევძელი. გადაადგილებას ძლივს ვახერხებ... თუმცა დაფასებისთვის მინდა მადლობა მოგახსენოთ.

— ალფრედო დი სტეფანოს ძველი ჯილდოები გავიხსენოთ. რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის — 1956 წელს პირველად მოგებული ჩემპიონთა თასი, თუ ბოლო, მეხუთე რომელიც 1960-ში მოიპოვეთ?

— ყველა მნიშვნელოვანი იყო.

— რას გაიხსენებდით 1960 წელს „აინტრახტთან“ გამართული ფინალის (7:3) შესახებ?

— ძნელია, ეს მატჩი დაივიწყო. თამაში გლაზგოში, 135 ათასი მაყურებლის თვალწინ შედგა. შედეგი კი დაუჯერებელი გახლდათ — 10 გოლი გავიდა იმ შეხვედრაში. გულშემატკივრებმა მატჩის ხილვით დიდი სიამოვნება მიიღეს, ჩვენ კი „რეალის“ მეტოქეზე სიძლიერე ბოროტად არ გამოგვიყენებია, „აინტრახტი“ დიდი ანგარიშით დავამარცხეთ, თუმც აბუჩად არ აგვიგდია. მოკლედ, ეპიკური მატჩი იყო.

— თანამედროვე ფეხბურთში რატომ არ არსებობენ ისეთი დინასტიები, როგორიც, მაგალითად, ორმოცდაათიანი წლების „რეალში“ იყო?

— მადრიდში მაშინ ყველაფერი საათივით იყო აწყობილი. მტკიცე დისციპლინამ გუნდის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა. რაც შეეხება პოპულარობას — უცხოეთის ქვეყნებში ჩვენი თამაშის ხილვა ძალიან აინტერესებდათ, რადგანაც იქ უამრავი ესპანელი ემიგრანტი ცხოვრობდა. სადაც არ უნდა მივსულიყავით, ყველგან ესპანური სათვისტომო გვეგებებოდა.

— მოგებულ ტიტულთაგან ყველაზე მეტი სიამოვნება რომელმა მოგანიჭათ?

— ჩემპიონთა თასის ცხრა გათამაშებაში მივიღე მონაწილეობა, აქედან ხუთში გავიმარჯვეთ, ორში ფინალში გავედით და ორჯერ კიდევ მეოთხედფინალში ვითამაშეთ. ყველა ეს მატჩი და მოგებული ჯილდო თავისებურად განუმეორებელი იყო. ასე მარტო მე არ ვფიქრობ, ჩემი ძველი თანაგუნდელებიც ამ აზრზე არიან.

— არ გაწუხებთ, რომ მუნდიალზე თამაში ვერ შეძელით?

— არა. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩილეში მეც ვიყავი, თუმცა მაშინ ტრავმა მივიღე. იქამდე კი მუნდიალის შესარჩევებში ვითამაშე, ამიტომაც თავს ესპანეთის ეროვნული გუნდის ვეტერანად ვთვლი. გარდა ამისა, ინგლისისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებთა შეხვედრაში 1963 წელს ბრიტანელთა მეტოქეს მე ვკაპიტნობდი.

— არგენტინა, კოლუმბია, ესპანეთი — სამი ქვეყნის ნაკრებში ითამაშეთ, მაშინ, როცა ეს ჩვეულებრივი მოვლენა ნამდვილად არ იყო. თავს სატრანსფერო საქმის პიონერად თვლით?

— არა, ეს ხომ მარტო მე არ გამიკეთებია. ხანგრძლივი კარიერა მქონდა და ბევრ რამესაც ვიაღწიე. მხოლოდ 17 წლის ვიყავი, როდესაც უმაღლეს ლიგაში დავიწყე თამაში, აქტიურ ფეხბურთს კი 39 წლის ასაკში დავემშვიდობე.

— 1952 წელს ბოგოტას „მილიონარიოსმა“, რომლის წევრი თქვენც იყავით, მადრიდის „რეალი“ 4:2 დაამარცხა. „რივერ პლეიტს“, „მილიონარიოსსა“ და „რეალს“ შორის გამართულ ტურნირში გამარჯვება ვის დარჩებოდა?

— ამ სამმა კლუბმა უამრავი ტიტული მოიგო. თუმც ისტორიულად უპირატესობას მაინც მადრიდის „რეალს“ მივანიჭებდი. „რივერ პლეიტმა“ ბევრი საოცარი სეზონი ჩაატარა და დი სტეფანოც, როგორც ფეხბურთელი, იქ დაიბადა. „მილიონარიოსში“ თამაშით კი მე და ჩემმა მეგობრებმა კოლუმბიური ფეხბურთის წინსვლაში ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით.

— ბოგოტაში თქვენი თამაშისას ამბობდნენ, რომ ალფრედო დი სტეფანოს ოსტატობა მიწიერი არაა, რომ თქვენ სული ეშმაკს მიჰყიდეთ...

— ეშმაკს არ ვიცნობ და მასთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არ მაქვს.

— საუკეთესო მეტოქეებად ვის მიიჩნევდით?

— ევროპაში იმ დროს ძლიერ მეტოქეებად „მილანი“, „სტად დე რეიმსი“ და „ბენფიკა“ ითვლებოდნენ. დღევანდელი ჩემპიონთა ლიგისგან იმდროინდელი ევროპის თასი ძალიან განსხვავდებოდა. მაშინ მარტო ჩემპიონი გუნდები არკვევდნენ ევროპის საუკეთესო კლუბის ვინაობას. მეტოქეებსაც ნაკლებად ვიცნობდით, სად იყო მაშინ ასეთი კომუნიკაციის საშუალებები, ალალბედზე ვბურთაობდით. მთავარი კი ის იყო, რომ მოწინააღმდეგე გუნდები თავიანთ სტილს თავზე ვერ გვახვევდნენ. პირიქით კი, იცოცხლეთ — „რეალს“ მთელი მსოფლიო შემოვლილი აქვს და უნდოდათ თუ არა, ყველა მეტოქეს ჩვენს სტილზე ვაბურთავებდით...

— დღეს ევროპაში და მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს ვინ თამაშობს?

— ბევრია გუნდი, რომელიც უმაღლეს დონეზე თამაშობს და მადრიდის „რეალიც“ მათ შორისაა.

— მსოფლიოს საუკეთესო 11 ფეხბურთელს ვერ ჩამოგვითვლით? თუ ეს ჟურნალისტთა და გულშემატკივართა საქმეა?

— როგორ გითხრათ... ერთი თვე რომ მომცეთ მოსაფიქრებლად, თითოეულ პოზიციაზე 30 ფეხბურთელს დაგისახელებდით. იდეალური შემადგენლობის შესაკრებად წლები, ეპოქა და ის ფეხბურთელები უნდა გაითვალისწინო, რომელთა გვერდითაც გითამაშია.

— არ გსურთ, რომ თამაში დღესაც შეგეძლოთ?

— სიტყვა „თამაში“ არ არის იგივე, რაც „მუშაობა“. წარმოიდგინეთ, თამაშს რამხელა სიამოვნება უკავშირდება.

— თქვენი დროისა და დღევანდელი ფეხბურთი ერთმანეთისგან ყველაზე მეტად რითი განსხვავდებიან?

— არავითარი დიდი სხვაობა არ არსებობს. კარგად უნდა ითამაშო და კარში გოლი უნდა გაიტანო. ეს არის და ეს, სხვას ჩვენ არაფერს ვაკეთებდით.

— რახან ადრე სპორტში ფული ნაკლებად ტრიალებდა, ძველი ფეხბურთი უფრო სუფთად უნდა ჩავთვალოთ?

— არა. ფეხბურთში და მასთან დაკავშირებით ყოველთვის ერთი და იგივე ინტერესები ტრიალებდა.

— აზრი აქვს ამ ორი განსხვავებული ეპოქის ერთმანეთთან შედარებას?

— დღეს ფეხბურთში მექანიკა მეტია, ფიზიკური მომზადება და დიეტაც მოთამაშეს ადრინდელზე მეტად ეხმარება. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ფეხბურთი ქუჩაში დაიბადა და ევოლუციებიც სწორედ იქ უნდა განიცადოს. ინდივიდუალური ტექნიკა კი სადღეისოდ უფრო ნაკლებია, ვიდრე ჩემს დროს იყო.

— თქვენი თანამემამულე ლუის სეზარ მენოტი ფეხბურთის კომერციალიზაციას აკრიტიკებს. დონ ალფრედოც იგივენაირად ფიქრობს?

— ორმოცდაათიან წლებში ჩვენთან უფროსი ფეხბურთელები მოდიოდნენ, რომელთაც კარიერა 20 წლით ადრე დაასრულეს და გვეუბნებოდნენ, რომ ძალიან გაგვიმართლა, ოცდაათიანებში რომ გეთამაშათ, არც საკუთარი სახლები გექნებოდათ და არც ამდენი ფული. დღესაც ზუსტად იგივე ხდება, შედარებით უფროსი თაობა ახალგაზრდა ფეხბურთელებს თამაშისადმი ნაკლებ ყურადღებას და ფულის სიყვარულს უკიჟინებს... ამბობენ, რომ ფეხბურთი ბერდება, ქრება და ეს მაშინ, როცა არც აფრიკაში, არც აზიაში და არც ჩრდილოეთ ამერიკაში სპორტის ამ სახეობის ფრთები მთელი ძალით არ გაუშლია! მერწმუნეთ, როცა ამ კონტინენტებზე ფეხბურთი სრულად გაიფურჩქნება, სიბერეზე და სიკვდილზე კი არა, [illegible] ილაპარაკებენ.

— [illegible] „ბერნაბეუზე“ არც ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის პრეზენტაციას არ აკლდებით. მსოფლიო ფეხბურთის ფანატიკოსად რჩებით თუ მარტო მადრიდის „რეალისა“?

— ცხადია, ძველებურად ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და „რეალიც“ ისევ ჩემს გუნდად რჩება. „ბერნაბეუზე“ 50 წელი გავატარე და „რეალის“ საპატიო პრეზიდენტიც ვარ...

— ტელევიზორში რომელ მატჩებს უყურებთ?

— ყველანაირ ფეხბურთს ვუყურებ. ვცდილობ, არც ერთი სამხრეთამერიკული და ევროპული ტურნირი არ გამომრჩეს. და თუ ჯანმრთელობა სტადიონზე წასვლის საშუალებას მაძლევს, აუცილებლად მივდივარ.

— ბერნდ შუსტერმა თანამედროვე მადრიდის „რეალით“ რას შეიძლება, მიაღწიოს?

— შუსტერს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. მადრიდში ყველას გვინდა, რომ იგი ჩემპიონი გახდეს. „რეალის“ დღევანდელ მწვრთნელს დიდი გუნდი ჰყავს, მაგრამ არ უნდა დაავიწყდეს, რომ მადრიდელი ქომაგები თამაშის სანახაობრივ მხარეს უდიდეს ყურადღებას აქცევენ. „რეალს“ ლამაზად ბურთაობა შვენის.

— კრისტოფ მეცელდერის შესახებ რას გვეტყვით?

— ჯერ მისი თამაში კარგად არ გვინახავს, ამ ფეხბურთელს ტრავმა აწუხებდა.

— რაინერ ბონჰოფს როგორ გაიხსენებდით?

— როგორც ამაყ, ძლიერ და გამარჯვებულის ფსიქოლოგიის მქონე ფეხბურთელს.

— თქვენ ისეთი რამ შეძელით, რაც სხვას ჯერ ვერ მოუხერხებია — „ბოკას“ შემადგენლობაშიც ჩემპიონი გახდით და „რივერ პლეიტშიც“ ცხადია, ამით ამაყობთ...

— თუ იგებ, უნდა იამაყო კიდევაც. ბოლოს და ბოლოს, იმისთვის მუშაობ, რომ გამარჯვება იზეიმო. და ეს გამარჯვება შენი კომპენსაციაა.

— დიეგო მარადონასა და ხუან მანუელ ფანხიოსთან ერთად არგენტინის ყველა დროის სამ საუკეთესო სპორტსმენთა შორის ითვლებით...

— ეს ძალიან მიხარია. ბუენოს აირესში ჩემი ნათესაობის დიდი ნაწილი ცხოვრობს და ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორ ეამაყებათ ეს ამბავი.

— რას ნიშნავს თქვენთვის არგენტინა ამდენწლიანი განშორების შემდეგ? თავს არგენტინელად თვლით თუ ესპანელად?

— იქ დავიბადე და სიტყვა არგენტინაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. დღეს ნახევრად არგენტინელი ვარ, ნახევრად კი ესპანელი.

— ამბობენ, მამათქვენს არ სურდა, ფეხბურთელი რომ გამოსულიყავით...

— არ დაიჯეროთ. მამაჩემი ფეხბურთელი იყო და საერთოდ ოჯახში ყველანი ქომაგები ვართ.

# ვის აგინა რეიესმა: აგირეს თუ დეკუს?




„ატლეტიკოს“ შემტევმა ხოსე ანტონიო რეიესმა კვირას „კამპ ნოუზე“ მადრიდელთა მწვრთნელი ხავიერ აგირე გალანძღა. მექსიკელმა მწვრთნელმა „ბარსელონასთან“ მატჩის 55-ე წუთზე გადაწყვიტა, რეიესის მაგივრად მაქსი როდრიგესი გამოეყვანა, რამაც ხოსეს გამძვინვარება გამოიწვია.

„აგირე, შენი დედაც...“ — სულ ცოტა, სამჯერ უთქვამს ეს ფრაზა მადრიდის „რეალის“ ყოფილ ფეხბურთელს, სანამ სათადარიგოთა სკამამდე მიაღწევდა და იქაურობას მილეწ-მოლეწავდა.

რეიესმა სათადარიგოთა სკამზე ისე ამორტყა ბრაზისგან წყლის ბოთლს ფეხი, რომ შხეფები სახიდან „კამპ ნოუს“ ტრიბუნაზე მყოფმა ქომაგებმაც ჩამოიწმინდეს. ნაგინებმა აგირემ კი კატალონიელებთან 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ თქვა: „ატლეტიკოში“ მხოლოდ ერთი ავტორიტეტი არსებობს და მას ყველამ პატივი უნდა სცეს — ჩვენთან ყველაზე ძვირად კლუბის ემბლემა და თავად კლუბი ფასობს. გასაგებია, რომ ყველა ფეხბურთელს მოგება უნდა, მაგრამ საეჭვოა, ნერვების ვერმოთოკვით და მწვრთნელის იგნორირებით ვინმემ წარმატებას მიაღწიოს“.

„ათლეტთა“ სპორტული დირექტორი გარსია პიტარჩი კლუბის დირექტორატს მოელაპარაკება და ხოსეს სანქციებს ამის შემდეგ დაადგენს. მადრიდული გაზეთები კი წერენ, აგირეს კი არა, რეიესი ბარსელონელ დეკუს აგინებდა, რომელმაც შეცვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ისე მტკივნეულად ჩაარტყა ფეხში, რომ კინაღამ საკაცით გასატანი გახადაო...

დეკუ გალანძღა თუ ხავიერ აგირე, ცხადია, რეიესს ბილწსიტყვაობას არავინ მოუწონებს. „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი რომ სათამაშო წუთების უქონლობით აშკარად გაღიზიანებულია, ამას წყალი არ გაუვა.

„როდესაც „ატლეტიკოში“ მოვედი, ველოდი, რომ თამაშის საშუალებას მომცემდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“ — უთქვამს მას „ასთან“ ინტერვიუში.

**ლადო ხომერიკი**

# ლევანტეს ბიაზი გაუსკდა

**შოთა არველაძის** „ლევანტე“ აბელ რესინოს შემცვლელს ეძებს. ვალენსიელებმა აწ უკვე ყოფილი თავკაცი გუნდს „სარაგოსასთან“ 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ ჩამოაცილეს და ახლა „ლევანტეს“ შესაძლო დამრიგებლებად იტალიელი ჯოვანი დე ბიაზი და ესპანელი პაკო ფლორესი ითვლებიან.

ალბათ კლუბის ხელმძღვანელობა არჩევანს იტალიელზე შეაჩერებს. მიუხედავად იმისა, რომ „ლევანტეს“ ფეხბურთელები სავიო, მანოლო, კავალიერო და ალვარო პაკო ფლორესის მომხრენი არიან. უფროსობა კი იტალიელის მხარეზეა და თვლის, რომ გუნდის კატასტროფულ მდგომარეობას მარტო დე ბიაზი გამოასწორებს.

„მოდენას“, „ბრეშასა“ და „ტორინოს“ ექსმწვრთნელი ახლა ესპანეთშია და სამომავლო ხელშეკრულების თაობაზე თათბირობს.

„ლევანტეს“ ფეხბურთელები ამბობენ, რომ ამ კაცს ესპანურ პრიმერაში მუშაობის გამოცდილება არ აქვს და ამიტომაც გაუჭირდება, თუმცა პრეზიდენტმა ხულიო რომერომ განაცხადა, დი ბიაზიმ DVD-ით უკვე ყველა თამაში ნახა, შეისწავლა და პრობლემების მოსაგვარებლად მზად არისო.

**ლადო ხომერიკი**

# ვიეირა: ინტერიდან სიტიში

**„ნიუს ოფ ზე ვორლდის“** ცნობით, „მანჩესტერ სიტი“ „ინტერიდან“ პატრიკ ვიეირას შეძენას ცდილობს. სიტელები ფრანგ ნახევარმცველში 10 მილიონ ევროს გაიმეტებენ, თუ ფეხბურთელი იანვარში ინგლისში გადასვლას დაჰყაბულდება.

ტრავმის გამო ვიეირამ ამ სეზონში მხოლოდ 68 წუთი ითამაშა — ისიც „რომასთან“, აგვისტოში იტალიის სუპერთასზე.

„სიტი“ ამ ზამთარს 45 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს, მათ შორის 9 მილიონი ხუან რომან რიკელმესთვისაა გამზადებული.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ძამბროტამ რონალდინიო ბარსელონაში დატოვა




**„ბარსელონას“** მცველი ჯანლუკა ძამბროტა თვლის, რომ მისი თანაგუნდელი რონალდინიო კატალონიური გრანდის დატოვებაზე არ ფიქრობს.

„რონალდინიო? მან, რა თქმა უნდა, რთული პერიოდი გადაიტანა, მაგრამ კრიზისი უკვე დაძლია და, დარწმუნებული ვარ, „ბარსელონადან“ წასვლა არ სურს“ — განუცხადა ძამბროტამ მილანში „ფერ პლეი თიმის“ პრეზენტაციაზე იქაურ მედიას.

იტალიელი, რომელიც შაბათს ევროშესარჩევში საქართველოს ნაკრებთან მატჩს ტრავმის გამო გამოაკლდება, თავისი ძველი გუნდის, ტურინის „იუვენტუსის“ საამსეზონო წარმატებული სტარტით კმაყოფილი ჩანს.

— „იუვე“ ახლა სერია A-ს ცხრილში მეორე ადგილზეა და ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება. ეს პირადად ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზია. არავინ ფიქრობდა, დაბრუნებულები ასე უცბად თუ გამოცოცხლდებოდნენ. ტურინელებს სულით და გულით ვუსურვებ ჩემპიონობის მოპოვებას, მათ ეს ნამდვილად შეუძლიათ, თუმცა ჯერჯერობით ტიტულის მოპოვებაზე ლაპარაკი ნაადრევია“ — ამბობს ექსიუვენტუსელი.

ჯანლუკას ძმობილი ალესანდრო დელ პიერო „ფიორენტინა — იუვენტუსის“ მატჩის (1:1) დასაწყისში სათადარიგოებში იჯდა და იტალიის ნაკრების მწვრთნელმა დონადონიმაც საქართველოსთან შეხვედრაში არ მიიწვია. თუმცა ძამბროტა ფიქრობს, რომ დელ პიერო პრობლემებს მალე გადალახავს: „ასეთი რამ ყველა ფეხბურთელის კარიერაში ხდება. დელ პიერო კი საბრძოლო ფორმის აღდგენას ადვილად მოახერხებს“.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. X ტური

**ქუინზ პარკი 1:0 ნორვიჩი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:12 | 23 |
| ჩარლტონი | 10 | 5 | 4 | 1 | 16:10 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 5 | 2 | 3 | 21:11 | 17 |
| ბრისტოლი | 10 | 4 | 5 | 1 | 14:10 | 17 |
| სტოკი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:10 | 17 |
| ბარნსლი | 10 | 4 | 4 | 2 | 16:14 | 16 |
| ვულვზი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:9 | 15 |
| ქოვენთრი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:14 | 15 |
| პლიმუთი | 10 | 3 | 5 | 2 | 14:12 | 14 |
| იფსვიჩი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:15 | 14 |
| სკანთორპი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | 14 |
| კარდიფი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 13 |
| ბარნლი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:14 | 13 |
| საუთჰემპტონი | 10 | 4 | 1 | 5 | 19:23 | 13 |
| ჰალი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 12 |
| ბლექპული | 10 | 2 | 6 | 2 | 13:14 | 12 |
| კოლჩესტერი | 10 | 2 | 5 | 3 | 19:17 | 11 |
| ლესტერი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 |
| კრ. პალასი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:12 | 10 |
| პრესტონი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:14 | 9 |
| შეფილდი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:19 | 8 |
| ნორვიჩი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:11 | 8 |
| უენსდი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:18 | 7 |
| ქუინზ პარკი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:20 | 6 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VII ტური

**ბრაგა 1:0 ნასიონალი**

1:0 ლინსი (85პ)

**ფერეირა 2:1 ამადორა**

1:0 ფურტადო (71), 2:0 რ. კეირუში (75), 2:1 ანსელმო (85)

**ბოავიშტა 2:4 ბელენენსეში**

0:1 პედრუ (26პ), 1:1 მარსელაუ (29), 1:2 სილასი (51), 2:2 მარსელაუ (67), 2:3 გომესი (70), 2:4 პედრუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 7 | 7 | 0 | 0 | 12:1 | 21 |
| სპორტინგი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:4 | 14 |
| მარიტიმუ | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| ბენფიკა | 7 | 3 | 4 | 0 | 9:2 | 13 |
| გიმარაეში | 7 | 3 | 3 | 1 | 9:7 | 12 |
| სეტუბალი | 7 | 2 | 5 | 0 | 9:5 | 11 |
| ბრაგა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 10 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| ლეიშოეში | 7 | 0 | 6 | 1 | 6:7 | 6 |
| ამადორა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| ნასიონალი | 7 | 1 | 3 | 3 | 4:7 | 6 |
| აკადემიკა | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | 6 |
| ფერეირა | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| ნავალი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:13 | 5 |
| ბოავიშტა | 7 | 0 | 4 | 3 | 3:9 | 4 |
| ლეირია | 7 | 0 | 3 | 4 | 3:10 | 3 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. IX ტური

**ალემანია 2:0 ფრაიბურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 9 | 6 | 2 | 1 | 21:11 | 20 |
| მიუნხენი | 9 | 5 | 3 | 1 | 19:10 | 18 |
| ვეჰენი | 9 | 5 | 2 | 2 | 20:16 | 17 |
| ფრაიბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 17 |
| მაინცი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:11 | 16 |
| ფიურტი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| კიოლნი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:14 | 14 |
| ალემანია | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 14 |
| ოფენბახი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:15 | 13 |
| ჰოფენჰაიმი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| ზანკტ პაული | 9 | 4 | 0 | 5 | 10:14 | 12 |
| ოსნაბრიუკი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:14 | 11 |
| კობლენცი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:18 | 11 |
| აუგსბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 16:18 | 9 |
| აუე | 9 | 2 | 2 | 5 | 13:17 | 8 |
| ლაუტერნი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:10 | 7 |
| კარლ ცაისი | 9 | 1 | 2 | 6 | 12:20 | 5 |
| პადერბორნი | 9 | 0 | 3 | 6 | 3:12 | 3 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXIII ტური

**ბრანი 3:1 ლინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 23 | 16 | 3 | 4 | 53:32 | 51 |
| სტაბეკი | 23 | 12 | 6 | 5 | 42:33 | 42 |
| ვიკინგი | 23 | 12 | 5 | 6 | 44:33 | 41 |
| ლილესტრიომი | 23 | 11 | 6 | 6 | 42:26 | 39 |
| ტრომსიო | 23 | 11 | 3 | 9 | 40:37 | 36 |
| რუსენბორგი | 23 | 10 | 5 | 8 | 47:34 | 35 |
| ვოლერენგა | 23 | 9 | 6 | 8 | 30:28 | 33 |
| ფრედრიკსტადი | 23 | 8 | 8 | 7 | 34:37 | 32 |
| ლინი | 23 | 8 | 4 | 11 | 36:41 | 28 |
| სტრომსგოდსეტი | 23 | 8 | 4 | 11 | 31:39 | 28 |
| ალესუნდი | 23 | 8 | 3 | 12 | 36:51 | 27 |
| სტარტი | 23 | 6 | 7 | 10 | 33:38 | 25 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 5 | 3 | 15 | 27:43 | 18 |
| სანდეფიორდი | 23 | 4 | 3 | 16 | 25:48 | 15 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXIV ტური

ელფსბორგი — ჰალმსტადი 1:1; ჰამარბი — ჰელსინგბორგი 0:2; იორგებრო — კალმარი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 24 | 12 | 7 | 5 | 42:28 | 43 |
| იურგორდენი | 24 | 12 | 7 | 5 | 37:22 | 43 |
| კალმარი | 24 | 13 | 3 | 8 | 39:31 | 42 |
| აიკ | 24 | 10 | 8 | 6 | 30:24 | 38 |
| ელფსბორგი | 24 | 9 | 10 | 5 | 37:27 | 37 |
| ჰალმსტადი | 24 | 9 | 9 | 6 | 32:30 | 36 |
| ჰამარბი | 24 | 10 | 3 | 11 | 31:30 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 8 | 8 | 8 | 40:33 | 32 |
| მალმიო | 24 | 8 | 7 | 9 | 26:25 | 31 |
| გაის | 24 | 7 | 8 | 9 | 23:31 | 29 |
| გეფლე | 24 | 7 | 7 | 10 | 23:29 | 28 |
| იორებრო | 24 | 5 | 7 | 12 | 25:43 | 22 |
| ტრელებორგი | 24 | 4 | 8 | 12 | 21:36 | 20 |
| ბრომაპოიკარნა | 24 | 4 | 8 | 12 | 19:41 | 20 |

## დანია

### სუპერლიგა. XII ტური

**ორჰუსი 3:5 ოლბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 12 | 7 | 4 | 1 | 16:6 | 25 |
| მიდტიულანდი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:13 | 23 |
| ოლბორგი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:22 | 23 |
| ჰორსენსი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:15 | 22 |
| ოდენსე | 12 | 4 | 7 | 1 | 19:10 | 19 |
| რანდერსი | 12 | 5 | 3 | 4 | 20:9 | 18 |
| ნორდსიელანდი | 12 | 4 | 5 | 3 | 16:13 | 17 |
| ესბიერგი | 12 | 4 | 3 | 5 | 25:21 | 15 |
| ბრონდბიუ | 12 | 2 | 4 | 6 | 12:21 | 10 |
| ვიბორგი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | 10 |
| ორჰუსი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:20 | 8 |
| ლიუნგბიუ | 12 | 1 | 3 | 8 | 9:25 | 6 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. IX ტური

**სპარტა 0:2 სლავია**

**ბრნო 0:3 ბოლესლავი**

**პლზენი 3:1 ჟიჟკოვი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 9 | 7 | 1 | 1 | 18:6 | 22 |
| ტეპლიცე | 9 | 6 | 2 | 1 | 13:6 | 20 |
| ბანიკი | 9 | 5 | 3 | 1 | 16:6 | 18 |
| სპარტა | 9 | 5 | 1 | 3 | 11:7 | 16 |
| ბოლესლავი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| სიგმა | 9 | 3 | 4 | 2 | 6:6 | 13 |
| ზლინი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:12 | 13 |
| პლზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| ბრნო | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 9 | 3 | 2 | 4 | 10:12 | 11 |
| კლადნო | 9 | 2 | 3 | 4 | 14:15 | 9 |
| მოსტი | 9 | 1 | 4 | 4 | 14:19 | 7 |
| ბოჰემიანსი | 9 | 1 | 4 | 4 | 4:10 | 7 |
| ლიბერეცი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:10 | 6 |
| იაბლონეცი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:10 | 6 |
| ჟიჟკოვი | 9 | 1 | 3 | 5 | 12:20 | 6 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XI ტური

**დიჟონი 0:0 ნანტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 11 | 7 | 3 | 1 | 21:7 | 24 |
| ლე ავრი | 11 | 7 | 3 | 1 | 21:8 | 24 |
| გრენობლი | 11 | 6 | 3 | 2 | 14:9 | 21 |
| ტრუა | 11 | 5 | 5 | 1 | 16:10 | 20 |
| მონპელიე | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 18 |
| ანჟერი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:10 | 18 |
| ბრესტი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:12 | 18 |
| ბასტია | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 17 |
| დიჟონი | 11 | 3 | 6 | 2 | 9:10 | 15 |
| აიაჩო | 11 | 3 | 5 | 3 | 10:11 | 14 |
| კლერმონი | 11 | 2 | 7 | 2 | 13:12 | 13 |
| შატორუ | 11 | 3 | 4 | 4 | 11:12 | 13 |
| რეიმსი | 11 | 4 | 1 | 6 | 11:18 | 13 |
| სედანი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:11 | 12 |
| ბულონი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:17 | 12 |
| ნიორი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:12 | 11 |
| ამიენი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:13 | 11 |
| გენგამი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:15 | 9 |
| ბესიონი | 11 | 1 | 3 | 7 | 11:20 | 6 |
| ლიბურნი | 11 | 1 | 2 | 8 | 13:23 | 5 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXVI ტური

**ნალჩიკი 1:2 სპარტაკი**

0:1 კალინიჩენკო (21), 1:1 პილიპჩუკი (51), 1:2 კალინიჩენკო (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:28 | 49 |
| ზენიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 44:32 | 49 |
| მოსკვა | 26 | 13 | 7 | 6 | 34:25 | 46 |
| ცსკა | 26 | 10 | 11 | 5 | 36:22 | 41 |
| სატურნი | 26 | 10 | 11 | 5 | 30:23 | 41 |
| ლოკომოტივი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:35 | 39 |
| ამკარი | 26 | 9 | 10 | 7 | 25:20 | 37 |
| დინამო | 26 | 10 | 7 | 9 | 35:32 | 37 |
| ტომი | 26 | 7 | 10 | 9 | 34:32 | 31 |
| ხიმკი | 26 | 7 | 10 | 9 | 23:25 | 31 |
| რუბინი | 26 | 9 | 4 | 13 | 28:33 | 31 |
| ნალჩიკი | 26 | 7 | 8 | 11 | 26:32 | 29 |
| ლუჩ-ენერგია | 26 | 7 | 7 | 12 | 24:32 | 28 |
| კუბანი | 26 | 6 | 10 | 10 | 23:34 | 28 |
| კრილია | 26 | 6 | 8 | 12 | 26:37 | 26 |
| როსტოვი | 26 | 1 | 11 | 14 | 15:38 | 14 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | ტრანმერი-უოლსოლი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 22:45 | 8 | ჰარტლპული-როვერსი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 1 | პორტ ვეილი-ბრაიტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 16:00 | 2 | საუთენდი-ქრიუ | 1.55 | 3.40 | 5.15 | 1.06 | 1.19 | 2.04 |
| 16:00 | 5 | იოვილი-კარლაილი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 16:00 | 6 | ჩელტენემი-ნოტინგემი | 3.65 | 3.25 | 1.85 | 1.71 | 1.22 | 1.17 |
| 15:00 | 7 | ჯილინგემი-მილუოლი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 9 | ლიდსი-ლეიტონი | 1.50 | 3.50 | 5.65 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 4 | ბორნმუთი-სუონსი | 2.80 | 3.30 | 2.15 | 1.51 | 1.21 | 1.30 |
| 19:00 | 11 | დონკასტერი-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.25 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.71 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 12 | ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1.85 | 3.25 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.71 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 13 | მორეკომბი-ბრედფორდი | 2.15 | 3.25 | 2.90 | 1.29 | 1.23 | 1.53 |
| 22:45 | 18 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 2.20 | 3.25 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.48 |
| 22:45 | 19 | ჩესტერი-ჰერეფორდი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:45 | 22 | გრიმსბი-როჩდეილი | 2.15 | 3.25 | 2.90 | 1.29 | 1.23 | 1.53 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 14 | ნოტსი-ბერი | 1.90 | 3.25 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 16:00 | 16 | ბარნეტი-მენსფილდი | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| 18:00 | 17 | შრიუსბერი-ჩესტერფილდი | 2.25 | 3.25 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.47 |
| 15:30 | 23 | მაკლსფილდი-რექსემი | 1.95 | 3.25 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.63 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 15 | პიტერბრო-უიკომბი | 1.75 | 3.25 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.81 |
| 16:00 | 20 | დაგ ენდ რედი-აკრინგტონი | 2.00 | 3.25 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 17:00 | 21 | დარლინგტონი-სტოკპორტი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 16:30 | 24 | დონსი-ლინკოლნი | 1.35 | 3.90 | 6.90 | 1.00 | 1.12 | 2.49 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 33 | ოქსფორდი-ტორკი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 441 | დორტმუნდი (მ)-ლიუბეკი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 21:30 | 442 | ვერდერი( მ)-ემდენი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 49 | რავენა-ტრიესტინა | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 17:00 | 50 | რიმინი-აველინო | 1.35 | 3.70 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.57 |
| 17:00 | 51 | ტრევიზო-ვიჩენცა | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 17:00 | 52 | ალბინოლეფე-პიზა | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 17:00 | 53 | ასკოლი-კიევო | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 17:00 | 55 | ფროზინონე-ბარი | 2.10 | 2.70 | 3.70 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 56 | გროსეტო-მესინა | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 17:00 | 57 | ლეჩე-სპეცია | 1.45 | 3.40 | 7.50 | 1.01 | 1.21 | 2.33 |
| 17:00 | 58 | მოდენა-ჩეზენა | 1.70 | 2.90 | 5.50 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| 17:00 | 59 | პიაჩენცა-ბოლონია | 3.10 | 2.80 | 2.30 | 1.47 | 1.32 | 1.26 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 91 | ლომელი-ვიგორი | 2.55 | 3.10 | 2.35 | 1.39 | 1.22 | 1.33 |
| 22:00 | 92 | კორტრაიკი-გეელი | 1.30 | 3.90 | 6.70 | 1.00 | 1.08 | 2.46 |
| 22:00 | 93 | ოლიმპიკი-ჰევერლე | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 168 | მონტერეი-ტოლუკა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **მჩ 2010 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 436 | ურუგვაი-ბოლივია | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 23:45 | 437 | არგენტინა-ჩილე | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| 23:45 | 438 | ეკვადორი-ვენესუელა | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 23:45 | 439 | პერუ-პარაგვაი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 23:45 | 440 | კოლუმბია-ბრაზილია | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 400 | შოტლანდია-უკრაინა | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 401 | სლოვაკეთი-სან მარინო | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 18:00 | 403 | ინგლისი-ესტონეთი | 1.03 | 8.50 | 29.00 | 1.00 | 1.00 | 6.57 |
| 18:20 | 405 | უნგრეთი-მალტა | 1.18 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.77 |
| 19:00 | 407 | სომხეთი-სერბეთი | 8.50 | 4.30 | 1.30 | 2.85 | 1.12 | 1.00 |
| 19:00 | 409 | ფარერები-საფრანგეთი | 33.00 | 10.00 | 1.01 | 7.67 | 1.00 | 1.00 |
| 19:00 | 411 | ბელარუსი-ლუქსემბურგი | 1.08 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.02 | 5.18 |
| 20:00 | 413 | აზერბაიჯანი-პორტუგალია | 20.00 | 6.50 | 1.05 | 4.90 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 415 | ისლანდია-ლატვია | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:15 | 416 | კვიპროსი-უელსი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 21:00 | 417 | ლიხტენშტეინი-შვედეთი | 20.00 | 6.50 | 1.07 | 4.90 | 1.01 | 1.00 |
| 21:15 | 420 | რუმინეთი-ჰოლანდია | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 22:00 | 421 | მოლდოვა-თურქეთი | 9.50 | 4.50 | 1.25 | 3.05 | 1.10 | 1.00 |
| 22:00 | 423 | დანია-ესპანეთი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 22:30 | 424 | პოლონეთი-ყაზახეთი | 1.08 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.02 | 4.90 |
| 22:30 | 426 | საბერძნეთი-ბოსნია | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 22:30 | 428 | სლოვენია-ალბანეთი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 22:45 | 430 | ბელგია-ფინეთი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 22:45 | 431 | ირლანდია-გერმანია | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| | | **ეჩ. 2009 შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 447 | შოტლანდია(21)-ლიტვა(21) | 1.60 | 3.15 | 4.80 | 1.06 | 1.20 | 1.90 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 448 | ისრაელი(21)-გერმანია(21) | 4.90 | 3.40 | 1.55 | 2.00 | 1.17 | 1.06 |
| 16:00 | 449 | პოლონეთი(21)-ესპანეთი(21) | 3.10 | 3.10 | 2.05 | 1.54 | 1.23 | 1.23 |
| 18:00 | 450 | რუსეთი(21)-ყაზახეთი(21) | 1.05 | 8.50 | 14.30 | 1.00 | 1.00 | 5.33 |
| 20:00 | 451 | ავსტრია(21)-კვიპროსი(21) | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |
| 20:00 | 452 | ბულგარეთი(21)-პორტუგალია(21) | 7.70 | 3.60 | 1.35 | 2.45 | 1.14 | 1.00 |
| 21:00 | 453 | ნორვეგია(21)-შვეიცარია(21) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:30 | 454 | ესტონეთი(21)-ჰოლანდია(21) | 7.60 | 4.50 | 1.25 | 2.82 | 1.07 | 1.00 |
| 22:00 | 455 | ბელგია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:30 | 456 | საფრანგეთი(21)-ბოსნია(21) | 1.25 | 4.50 | 7.60 | 1.00 | 1.07 | 2.82 |
| 22:45 | 457 | ინგლისი(21)-ჩერნოგორია(21) | 1.05 | 8.50 | 14.40 | 1.00 | 1.00 | 5.34 |
| 23:00 | 458 | იტალია(21)-ხორვატია(21) | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 434 | გამბა-კაშიმა | 1.80 | 3.20 | 3.50 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| 14:00 | 435 | იოკოჰამა მარინოსი-კავასაკი | 1.80 | 3.20 | 3.50 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 376 | ელჩე-ეიბარი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 23:30 | 377 | პერსულესი-ალავესი | 1.70 | 3.10 | 4.75 | 1.09 | 1.25 | 1.87 |
| 23:45 | 378 | ტენერიფე-მალაგა | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 23:00 | 379 | კადისი-გრანადა | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 23:00 | 380 | ალბასეტე-სერესი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 22:30 | 381 | ბურგოსი-პონფერადინა | 3.00 | 2.90 | 2.25 | 1.47 | 1.28 | 1.26 |
| 20:00 | 382 | ალკოიანო-ვალეკანო | 3.90 | 3.10 | 1.85 | 1.72 | 1.25 | 1.15 |
| 22:45 | 383 | დენია-პორტუენსე | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 23:00 | 385 | ტალავერა-ალიკანტე | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 443 | ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 3.80 | 3.15 | 1.70 | 1.72 | 1.17 | 1.10 |
| 15:30 | 444 | ეთნიკოსი-ლევადეიაკოსი | 3.90 | 3.25 | 1.65 | 1.77 | 1.15 | 1.09 |
| 16:00 | 445 | ეგალეო-ქსანთი | 3.40 | 3.15 | 1.80 | 1.63 | 1.17 | 1.14 |
| | | **სამხრეთ** | | | | | | |
| | | **ამერიკის თასი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 432 | ამერიკა-ვასკო და გამა | 1.50 | 3.50 | 5.75 | 1.04 | 1.18 | 2.17 |
| 23:45 | 433 | არსენალი-ჩივასი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **ჰოკეი.NHL** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 202 | დეტროიტი-კალგარი | 1.65 | 4.00 | 3.30 | 1.16 | 1.10 | 1.80 |
| 23:45 | 203 | მინესოტა-ედმონტონი | 1.80 | 4.00 | 2.80 | 1.24 | 1.09 | 1.64 |
| 23:45 | 204 | ჩიკაგო-სან ხოსე | 2.40 | 4.00 | 2.05 | 1.50 | 1.10 | 1.35 |
| 23:45 | 205 | სტ.ლუისი-ნეშვილი | 2.40 | 4.00 | 2.10 | 1.50 | 1.12 | 1.37 |
| 23:45 | 206 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1.70 | 4.00 | 3.10 | 1.19 | 1.09 | 1.74 |
| 23:45 | 207 | ვანკუვერი-ფილადელფია | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |
| 23:45 | 208 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 23:45 | 210 | ატლანტა-ოტავა | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 23:45 | 211 | კოლამბუსი-ფენიქსი | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |
| 23:45 | 212 | პიტსბურგი-მონრეალი | 1.75 | 4.00 | 2.50 | 1.21 | 1.02 | 1.53 |
| 23:45 | 213 | ტამპა ბეი-ფლორიდა | 1.80 | 4.00 | 2.80 | 1.24 | 1.09 | 1.64 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 353 | მაგნიტოგორსკი-ცსკა | 1.40 | 4.50 | 3.50 | 1.06 | 1.00 | 1.96 |
| 16:30 | 354 | ტრაქტორი-ტორპედო | 1.60 | 4.20 | 2.80 | 1.15 | 1.01 | 1.67 |
| 19:00 | 355 | ვიტიაზი-ს.იულაევი | 3.80 | 4.30 | 1.30 | 2.01 | 1.00 | 1.00 |
| 12:00 | 356 | ამური-ლადა | 2.00 | 4.00 | 2.10 | 1.33 | 1.02 | 1.37 |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 357 | სიბირი-ხიმკი | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 14:30 | 358 | ნოვოკუზნეცკი-აკ | 3.00 | 4.30 | 1.50 | 1.76 | 1.00 | 1.11 |
| 16:00 | 359 | ავანგარდი-აკ ბარსი | 1.70 | 4.40 | 2.50 | 1.22 | 1.01 | 1.59 |
| 19:00 | 360 | სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 19:00 | 361 | დინამო-ლოკომოტივი | 1.70 | 4.30 | 2.70 | 1.21 | 1.04 | 1.65 |
| 19:00 | 362 | მეტ-სევერსტალი | 1.70 | 4.40 | 2.55 | 1.22 | 1.01 | 1.61 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

# საპროზი
## ერთი ცხრამეტის წინააღმდეგ

**გუშინ** თბილისში, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შორიახლო კარგა ხანს საცობები იყო. თავად კომიტეტის მისადგომებთან ავტომობილები მიჯრით დაეყენებინათ, ხოლო ტელეოპერატორები წინ და უკან თავქუდმოგლეჯილები დარბოდნენ: ხუთრგოლიანი კომიტეტის შენობაში დიდი ამბები ხდებოდა.

იქ მოსული საზოგადოების გვარიანი ნაწილი თავს უცხოდ გრძნობდა და კომიტეტის კედლებიც პირველად ხედავდნენ ზოგიერთ სტუმარს. ამ სპორტულ ორგანიზაციაში სპორტულ ჟურნალისტთა ნაცვლად ძირითადად პოლიტიკურ ლაბირინთებში მოტრიალე ჩვენი კოლეგები მისულიყვნენ და კარგა ხანს დახურულ კარს მიღმა მყოფთ ელოდნენ. იქ, დახურულ კარს მიღმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის დაუსწრებლად მისდამი უნდობლობის გამოცხადებაზე მსჯელობდნენ.

გაირკვა, რომ ეს თავყრილობა სეოკ-ის წევრთა ერთი ნაწილის განცხადების საფუძველზე გაიმართა. მას ალმასკომის წევრთა უმრავლესობა დაესწრო. სხდომის დაწყებამდე იქვე იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, რომელმაც იქაურობა პროტესტის ნიშნად დატოვა.

ისიც გაირკვა, რომ სხდომაზე სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა იქ შეკრებილთ შეახსენა წესდება, რომლის მიხედვითაც ალმასკომის წევრები შესაკრებად ათი დღით ადრე მაინც უნდა გაეფრთხილებინათ. ამ შეხსენებას მოჰყვა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილის განმარტება, რაკი ამ სხდომის ჩატარების შესახებ მასმედიის საშუალებებით გაცხადდა, მისი ჩატარების თაობაზე ყველა წევრისთვის ცნობილი იყო და ეს ფორმალობაც დაცულიაო.



ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

ასე იყო თუ ისე, ალმასკომზე, რომელსაც გიორგი გაბაშვილის წარდგინებით პარლამენტარი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე თავმჯდომარეობდა, იქ მყოფი ოცი წევრიდან ბადრი პატარკაციშვილს უნდობლობა ცხრამეტმა გამოუცხადა, ის ერთადერთი წინააღმდეგი კი ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ. იგი სხდომის მერე აღშფოთებას ტელეკამერების წინაც ვერ ფარავდა. ყოველივეს დიდ უმადურობას უწოდებდა, თან ცდილობდა ბადრი პატარკაციშვილის მიერ იმ ასეულ ათასობით და მილიონობით ლარის გაღების შეხსენებას, რომელმაც ქართული სპორტი და ოლიმპიური მოძრაობა იხსნა.

ყველასგან განსხვავებით, ნონა გაფრინდაშვილი წინააღმდეგი იყო სეოკ-ის რიგგარეშე სესიის მოწვევისაც (რომელიც 29 ოქტომბრისთვის დანიშნეს), საამისოდ დროებითი კომისიის შექმნისაც (რომლის წევრებადაც აირჩიეს კახა გეწაძე, ემზარ ზენაიშვილი და დავით ნამგალაური) და სეოკ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანისაც.

სეოკ-ის სესიამდე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, წესდებისამებრ, ვიცე-პრეზიდენტ გოგი თოფაძეს დაეკისრა, რომელმაც კითხვაზე, თქვენ ხომ არ აპირებთ ოლიმპიური მოძრაობის საჭეთმპყრობლად კენჭისყრაში მონაწილეობასო, გვიპასუხა: „ალბათ, არა“.

გოგი თოფაძეს ბადრი პატარკაციშვილის დამსახურებები რომ შეახსენეს, გამოტყდა — უნდა ვაღიაროთ, პატარკაციშვილი ბევრს ეხმარებოდა მოქმედ სპორტსმენებსაც, ვეტერანებსაც და მთელ ოლიმპიურ მოძრაობას, რასაც ნამდვილად ვერავინ დაუკარგავსო.

უმთავრესი კითხვა, რომელიც ალმასკომის წევრებს აქეთ-იქიდან დააყარეს, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ხომ არ იყოო, კითხვითვე პასუხობდნენ, განა თავად ბადრი პატარკაციშვილის განცხადებები არ იყო პოლიტიკური?

ერთი სიტყვით, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბადრი პატარკაციშვილს უფლებამოსილება შეუჩერეს, საბოლოო გადაწყვეტილება კი სესიაზე ჰკიდია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ვიქტორ სანიკიძე ახალ წელს ელის
## რას იტყვის ამერიკელი ქირურგი?

**ვიქტორ სანიკიძე ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი კალათბურთელია, მაგრამ ამავდროულად — უიღბლოც. რაც თავი ახსოვს, „ვიკას“ ფეხები, მეტადრე მუხლები აწუხებს და მორიგ ტრანსფერშიც ახალმა ტრავმამ შეუშალა ხელი. ერთი კვირის წინ სანიკიძე გერმანული ბუნდესლიგის „კიოლნში“ წავიდა, სადაც გამზადებული კონტრაქტი ელოდა, მაგრამ ვარჯიშებზე მუხლმა შეაწუხა და ექიმებმა რომ შეამოწმეს, ნაოპერაციებ მუხლზე პრობლემები აღმოუჩინეს. ვიქტორ სანიკიძე ახლა თბილისშია და ფეხს მკურნალობს. რა იქნება მომავალში, მან ჯერ არ იცის...**

**— „კიოლნის“ ვარიანტი საბოლოოდ ჩაგეშალა, თუ ტრავმას რომ მოირჩენ, მერე წახვალ გერმანიაში?**

— გერმანელებმა კი მითხრეს, მოირჩენ თუ არა ტრავმას, ჩვენი გუნდის კარი შენთვის ღიააო, მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანს გამიგრძელდება მკურნალობა. თანაც შეიძლება მანამდე სხვა ვარიანტი გამოჩნდეს.

**— რამდენ ხანს გასტანს რეაბილიტაციის პერიოდი?**

— არ ვიცი. ჯერ ზუსტად ექიმებმაც არ იციან, რის გამო მაწუხებს ტკივილები.

**— მუხლებზე ოპერაცია გაქვს გაკეთებული და გერმანიაში რომ მიდიოდი, არ იცოდი, ტრავმა რომ გქონდა?**

— არა, ეს კიოლნში, ვარჯიშისას აღმოვაჩინე. გერმანელები დამხვდნენ, კარგად მიმიღეს და ცხადია, დარბაზში სავარჯიშოდ მიმიწვიეს. მუხლს ძალა რომ დავატანე, ტკივილი ვიგრძენი. შემეძლო, არ გამემხილა და კონტრაქტი გამეფორმებინა, მაგრამ მხოლოდ ჩემს თავს მოვატყუებდი.

**— სამედიცინო შემოწმებაზე ხომ მაინც გამოჩნდებოდა შენი მუხლის ამბავი...**

— ასეთი მკაცრი და დაწვრილმანებული კი არაა სამედიცინო შემოწმება. გსინჯავენ ზოგადად და თუ მუხლი ოდნავ გაწუხებს, ამას ვერ გაიგებენ. მე კი, რომ ამტკივდა, ეგრევე ვთქვი და საავადმყოფოში გამოსაკვლევად წამიყვანეს. აღმოჩნდა, რომ სამკურნალო მქონდა და საქართველოში დავბრუნდი.

**— შენი ვარაუდით, როდის ჩადგები მწყობრში?**

— თბილისშიც იგივე დიაგნოზი დამისვეს, რაც კიოლნში, თუმცა ბოლო სიტყვა ამერიკელებზეა. შარშან მე სან ანტონიოში გავიკეთე ოპერაცია და ყველას ჩემი ქირურგის აზრი აინტერესებს. ამერიკაში უკვე გაგზავნეს ჩემი მუხლის სურათი და ახლა პასუხს ელიან, რათა მკურნალობა დავიწყო. სავარაუდოდ, 2-3 თვეში მწყობრში ვიქნები. როგორც ვარაუდობენ, განმეორებითი ოპერაცია არ დამჭირდება.

**— შარშან შენ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში თამაშობდი და რატომ მოხდა, რომ გერმანიაში წახვედი?**

— „ესტუდიანტესმა“ ახალი გუნდის გაკეთება გადაწყვიტა, მე კი განათხოვრება დამიპირა. ეს ჩემს ინტერესებშიც შედიოდა, რადგან მცირე ხნით მიწევდა თამაში. რა თქმა უნდა, შედარებით დაბალი დონის ჩემპიონატში თამაში მირჩევნია, თუ მოედანზე ხანგრძლივად ვიქნები. ესპანელებს გერმანელებისგან ჩემი საიჯარო თანხა უნდა მიეღოთ, მაგრამ ტრავმამ ყველაფერი ჩაშალა. იმედი მაქვს, იანვრისთვის მწყობრში ჩავდგები და „კიოლნში“, ანაც სხვა რომელიმე გუნდში ვითამაშებ.

**ირაკლი პერტაია**




ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

# არა მხოლოდ ლიცენზია

## გეორ და გია პეკინში მედლებისთვის იბრძოლებენ

**პლაჟის ფრენბურთის წლევანდელი სეზონის გასრულებამდე ერთი მსოფლიო ტურიღა დარჩა, თუმც საქართველოს ფრენბურთის ფენდერაციამ სეზონი გუშინ შეაჯამა და საამისოდ ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები გვისტუმრა. ლევან ახვლედიანი ახლახან დაბრუნდა ბრაზილიიდან, სადაც ჩვენს წყვილებს გეორ-გიასა და საქა-რთველოს სამომავლო გეგმებზე ესაუბრა**



— წლევანდელი სეზონი ნოემბრის დასაწყისში დასრულდება, როდესაც ტაილანდის მსოფლიო ეტაპი გაიმართება, თუმც ჩვენ უკვე შევაჯამეთ განვლილი სეზონი და პირდაპირ ვიტყვი, ასეთი წარმატებული წელიწადი ჯერ არ გვქონია. პლაჟის ფრენბურთში ჩვენი კაცთა წყვილი, რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ-გია ძალიან ახლოსაა ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებასთან. ეს, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი ამბავია, რადგან მსოფლიო რეიტინგში გეორ-გია ახლა მეცამეტე ადგილზე არიან, რაც უსერიოზულესი წინსვლაა. სათამაშო სახეობაში საქართველოს არც ერთ ეროვნულ ნაკრებს არ უთამაშია ოლიმპიადაზე, ჩვენ კი პირველად გვაქვს რეალური შანსი იმისა, რომ გეორ-გიამ პეკინის ოლიმპიადაზე ითამაშონ. საამისოდ მთავარია, გაისად ტემპი არ დააგდონ, და მსოფლიო ეტაპებზე თითო-ოროლა მატჩიც მოიგონ, რაც რეალურზე რეალურია.

— გაისად, მსოფლიო ეტაპები, რომლებიც იმავდროულად სალიცენზიო ტურნირებიცაა, 20 ივლისამდე გრძელდება. ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ ოლიმპიადისთვის მზადების გეგმა. მომავალი წლის იანვრიდან გეორ-გიას ყველანაირი ხელშეწყობა ექნებათ და მსოფლიო ტურებსაც ოლიმპიადისთვის მზადების მთავარ ეტაპად განვიხილავთ. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიადაზე გეორ და გია მხოლოდ სათამაშოდ კი არა, მედლებისთვის საბრძოლველად ჩავლენ. ამის თქმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს.

— გეორ და გიას ახალი მწვრთნელი ჰყავთ. ჟილბერტო ბატისტას ნაცვლად, მათ ბრაზილიელივე როსინი უხელმძღვანელებს. როსინი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა სამეულში შედის. ჟილბერტო ბატისტა, იგივე კაჟა კი, მხოლოდ მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონებს რიკარდოს და ემანუელს გაწვრთნის, რადგან ორი წყვილის თავკაცობას ერთმანეთს ვერ უთავსებს.

— ბრაზილიაში ყოფნისას, იქაურმა უმსხვილესმა ტელევიზიამ „გლობალ TV"-მ გეორ-გიაზე ერთსაათიანი გადაცემა გააკეთა. ისინი ძალიან პოპულარულები არიან ბრაზილიაში და ძალიან ბევრმა საქართველოს არსებობა სწორედ მათგან შეიტყო. რენატომ, იგივე გეორმა, საქართველოს ჰიმნიც იმღერა.

— რაც შეეხება ქალთა წყვილს, ქრისტინს და ანდრესას, რომლებიც ჩვენი სახელით ხაქა და რთველოთი თამაშობენ, ისინი ამ მომენტისთვის მსოფლიო რეიტინგში ოცდამეათე ადგილზე არიან. სალიცენზიო რეიტინგში კი ოცეულში ტრიალებენ და ოლიმპიადა დღეს რომ იმართებოდეს, პეკინში ისინიც ითამაშებდნენ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გაისად საქართველო ბევრად უკეთ ითამაშებს, სალიცენზიო ქულებსაც დაიმატებს და ოლიმპიადაზეც მოხვდება.

**ბაჩო სვანიძე**

აერონავტიკა

# მცხეთური პრიზები შარდენზე დარიგდა



ვლადისლავ კლიმენკო

**მცხეთის** ცაში საჰაერო ბურთებით სამდღიანი ლამაზად ფრენის შედეგები გუშინ თბილისში, შარდენის ქუჩაზე, ღვინით სავსე ჭიქების მიჭახუნებით ლამაზადვე გამოცხადდა

ისევე, როგორც შარშან, საქართველოს მეორე ღია ჩემპიონატის საერთო ჩათვალში პირველობა ამჯერადაც უკრაინელს დარჩა. ოღონდ წლეულს ვლადისლავ კლიმენკომ გაიმარჯვა, შარშანდელი ჩემპიონი დენის კოლოდინი კი მეშვიდე აღმოჩნდა.

საერთო ჩათვლაში მეორე იყო თბილისელი რევაზ უთურგაული, რომელმაც მცხეთა—მთიანეთის გუბერნატორის მიერ დაწესებული პრიზის გათამაშებაში ყველას აჯობა.

მესამე ადგილი რუსეთის წარმომადგენელმა ნიკოლაი გალკინმა და ბრიტანელმა კრის დევისმა გაიყვეს.

ცალკეული პრიზების გათამაშებაში მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა ვლადიმერ სამარღანიშვილმაც, რომელმაც „ოქროს საწმისი" არავის დაანება.

პირველი ქართველი პილოტის, ვლადიმერ გარაყანიძის სახელობის პრიზი რუსეთის წარმომადგენელმა სერგეი გრიშინმა მოიპოვა, ხოლო ქართველ მეღვინეთა პრიზი — საფერავით სავსე ასლიტრიანი კასრი, უკრაინელ იური ბელდიკს ერგო.

**ავთანდილ ბუყიშვილი**



რევაზ უთურგაული


# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს. მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14, 93-16-08


ჭადრაკი

# ევროპის საკლუბო თასი

## 2-10 ოქტომბერი. ქემერი. თურქეთი



მაია ჩიბურდანიძე

# თურქეთში ალკალოიდი დაიწვა

**რუსთა** „ალკალოიდი" მეხუთე ტურამდე ლიდერობდა ცხრილს და სპეციალისტებიც მას მთავარ ფავორიტად თვლიდნენ. ბოლო ორ შეხვედრაში კი „ალკალოიდებმა" აურიეს, ზედიზედ ორჯერ წააგეს და პირველიდან მეთორმეტეზე ჩამოვიდნენ.

პირველ ადგილზე ესპანური „ლინექს-მეჯიქა" 11 ქულით. პირინიელებმა მეექვსე ტურში მთავარმეტოქე „ტომსკ-400" დაამარცხეს 3,5:2,5 და კონკურენტი მე-5 ადგილზე ჩააგდეს.

ბაადურ ჯობავას „ჩეს კლუბ ზაგრებმა" ლიტვის „ჩეს ბრიჯ კლუბს" 5:1 მოუგო, 8 ქულა დააგროვა და მე-9 ადგილზე ავიდა. ქართველმა კვლავაც მეორე დაფაზე ითამაშა და თეთრი ფიგურებით დარიუს ზადორსკი დაამარცხა.

მანდილოსნებში პირველი ისევ მონტე კარლოს გუნდია. მონაკოელებმა „სევერნი ურალი" დამარცხეს 3:1, აქტივში 12 ქულა ჩაიწერეს და ალბათ ჩემპიონობაც გაიფორმეს. ისინი უახლოეს მდევარ „ავსს" ორი ქულით უსწრებენ და საეჭვოა, ბოლო ტურში ეს უპირატესობა გაფლანგონ.

ქართული „ინტერპლასტი" სერბულ „პოდგორიცას" დაუზავდა და ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ დაკარგა. პირველ დაფაზე ლელა ჯავახიშვილმა შავებით 2000 წლის ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა დაამარცხა. მეორეზე ქეთევან არახამია-გრანტმა თეთრებით ალისა მარიჩთან ყაიმი ითამაშა. მესამეზე ფრეს დასჯერდა სოფიო გვეტაძე. იგი შავი ფიგურებით გამოვიდა და ანა უშენინას დაუზავდა. ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ წააგო ნანა ძაგნიძემ. თეთრებით მოთამაშე ქართველმა მოჭადრაკემ ქულა ანა ბენდერაკს დაუთმო.

სანაცვლოდ ქართულმა „მიკამ" კი დაძაბული შეხვედრა მოიგო და მედლის მოპოვების შანსი გაუჩნდა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძე შავებით ანა შარევიჩს დაუზავდა. მესამეზე კი ნინო ხურციძემ კლაუდია ეკხარდს მოუგო და სომხურ გუნდს მნიშვნელოვანი ქულა შესძინა.

**ლუყა გეგეჭკორი**

| კაცები | ქალები |
| --- | --- |
| 1. ლინექს-მაგიკ (ესპანეთი) - 11 (24,5) | 1. მონტე-კარლო (მონაკო) -------- 11 (19) |
| 2. ურალი (რუსეთი) ------------ 10 (27) | 2. ავს კრასნოიარსკი (რუსეთი) ------ 9 (16) |
| 3. ეკონომისტი (რუსეთი) -------- 10 (26) | 3. ეკონომისტი სარატოვ (რუსეთი) - 8 (17) |
| 4. ბოსნია სარაევო (ბოსნია) --- 10 (24) | 4. მიკა (სომხეთი) ------------------- 8 (16) |
| 5. ტომსკ -400 (რუსეთი) ------ 9 (25,5) | 5. პოდგორიცა (სერბეთი) ---------- 8 (15,5) |
| | 6. ინტერპლასტი (საქართველო) --- 8 (14,5) |

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები
## ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

**A ჯგუფი**
ბარსელონა (ესპანეთი) 34:27 ზარია ასტრახანი (რუსეთი)
ივრი (საფრანგეთი) 32:22 ბანიკ კარვინა (ჩეხეთი)
*ბარსელონა 4 ქულა, ივრი 2, ზარია 2, ბანიკი 0*

**B ჯგუფი**
კილი (გერმანია) 37:28 ჰამარბი (შვედეთი)
კონსტანცა (რუმინეთი) 23:28 მონპელიე (საფრანგეთი)
*კილი 4, მონპელიე 2, ჰამარბი 2, კონსტანცა 0*

**C ჯგუფი**
შაფჰაუზენი (შვეიცარია) 29:29 ადემარ ლეონი (ესპანეთი)
ზაგრები (ხორვატია) 28:28 ვარდარ სკოპიე (მაკედონია)
*ადემარ ლეონი 3, ვარდარი 3, შაფჰაუზენი 1, ზაგრები 1*

**D ჯგუფი**
A1 ბრეგენცი (ავსტრია) 29:37 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)
გოგ გუდმე (დანია) 42:32 ტატრან პრეშოვი (სლოვაკეთი)
*გუდმე 3, პორტლენდი 3, ტატრანი 2, ბრეგენცი 0*

**E ჯგუფი**
ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 26:29 ჰამბურგი (გერმანია)
ვიბორგი (დანია) 29:23 ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა)
*ჰამბურგი 4, მედვედი 2, ვიბორგი 2, ზაპოროჟიე 0*

**F ჯგუფი**
გუმერსბახი (გერმანია) 32:30 ვესპრემი (უნგრეთი)
პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 34:24 ვალური (ისლანდია)
*გუმერსბახი 4, პივოვარნა 3, ვესპრემი 1, ვალური 0*

**G ჯგუფი**
სიუდად რეალი (ესპანეთი) 40:25 ზაგლებიე (პოლონეთი)
დრამენი (ნორვეგია) 30:33 ფლენსბურგი (გერმანია)
*სიუდად რეალი 4, დრამენი 2, ფლენსბურგი 2, ზაგლებიე 0*

**H ჯგუფი**
მეშკოვ ბრესტი (ბელარუსი) 30:36 გორენიე (სლოვენია)
პიკ სეგედი (უნგრეთი) 39:24 სარაევო (ბოსნია)
*პიკ სეგედი 4, გორენიე 2, სარაევო 2, ბრესტი 0*

# ათიათასიანი კილი

**სასტარტო** ორი ტურის შემდეგ ფავორიტთაგან მაქსიმალურ შედეგს მხოლოდ ექვსმა გუნდმა მიაღწია. შედარებისთვის, შარშან ამ დროს „ასპროცენტიანი" თითქმის ოჯერ მეტი, 11 კლუბი იყო.

დიდი ბრძოლაა „C" ჯგუფში, რომელშიც ორივე მატჩი ფრედ დასრულდა და სატურნირო ვითარებაც ძალიან გამწვავდა. შინ წაგორხილების მიუხედავად, აღსანიშნავია პატარა სასწაული, რომელიც კატასტროფის წინაშე მდგარმა ხორვატიის ჩემპიონმა „ოსიგურანიე-ზაგრებმა" გააზერხა. მასპინძლები წინა ცხოვრებაში თანამემამულე მაკედონიელებთან პირწმინდად შერცხვნენ პირველ ტაიმში — 10:16, მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ ცოტაც და მოგებასაც იზეიმებდნენ, თუმც ვერ მოასწრეს და მხოლოდ ყაიმს დასჯერდნენ.

ცხადია, უნდა აღინიშნოს თანადგომის უნიკალური ფაქტი. ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონის, გერმანიის საპორტო კილის „ოსტზეეჰალეში" პირველ საშინაო თამაშს 10 250 მაყურებელი დაესწრო. გასაკვირი ისაა, რომ ეს მხოლოდ ჯგუფური ტურის მორიგი შეხვედრა იყო. ადვილი წარმოსადგენია, პლეი ოფის დროს იქ რა ამბები დატრიალდება.

მეგოლეთა შორის გამოკვეთილ ლიდერზე ლაპარაკი, ცხადია, ჯერ ნაადრევია. აღვნიშნავთ იმას, რომ ორ მატჩში გატანილი 18 გოლით „გოგ სვენდბორგ გუდმეს" 24 წლის დანიელი ფორვარდი ლასე სვენ ჰანსენი დაწინაურდა. მას თითო ბურთით ნორვეგიელი ფროდე ჰაგენი („დრამენი"), სლოვენიელი მარე პოიჩი („A1 ბრეგენცი") და სერბი ნემანია პრიბაკი („ვარდარ სკოპიე") ჩამორჩებიან.

**გია ახალაძე**


დანიური „ვიბორგის" კარლ ჰენრიკ დრეიერმა უკრაინული „ზაპოროჟიეს" დაცვა გაჭრა

## საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
## კაცები. მეორე წრე



**სტუ-თელავი 43:23 სსსსუ-მამული**

სტუ-თელავი: სამყურაშვილი, გიგა ტორონჯაძე, თევზაძე, ყიფიანი (27 გოლი), ჩიქოვანი (9), ზაალიშვილი (3), გოგალაძე (2), ბერძენიშვილი (1), კობახიძე (1), ქობულაშვილი, ტალახაძე
სსსსუ-მამული: გველესიანი, კვერნაძე (7), ქუთათელაძე (5), ჩაჩანიძე (4), თეთრუაშვილი (4), კერესელიძე (2), ბიდოდაშვილი (1)
მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ქჯუასელი
დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი

**თბილისი 53:14 ქუთაისი**

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, წივწივაძე (15), ქარდავა (9), ტორონჯაძე (7), ფორაქიშვილი (6), ქირია (5), ყაველაშვილი (5), ელენტი (2), ქუთათელაძე (2), სამარღანიშვილი (1), მაისურაძე (1), გელაშვილი
ქუთაისი: ნიქაბაძე (1), შიშინაშვილი, გობეჯიშვილი (5), ნიკურაძე (4), დოლაკიძე (2), ჩხეიძე (1), ჯავახაძე (1), ჯანაშია, ადამია, ტულუში, სიხარულიძე, კიზირია, თათვიძე, თუთბერიძე
მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ქჯუასელი
დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი

# მეორე წრე ყიფიანის ოცდაშვიდით დაიწყო

**გუშინ** საქართველოს კაც ხელბურთელთა ჩემპიონატის მეორე წრის ორი შეხვედრა შედგა, რომლებშიც თავიდანვე ფავორიტად მიჩნეულმა „სტუ-თელავმა" და „თბილისმა" იოლ გამარჯვებებს მიაღწიეს.

„სტუ-თელავი" თავიდანვე 4:1 დაწინაურდა და ოთხივე გოლი ირაკლი ჩიქოვანის ანგარიშზეა, რომელმაც პირველი წრე ტრავმის გამო გამოტოვა.

მალე ამირან ყიფიანიც ათამაშდა, ვინაც 27 (!) ბურთი გაიტანა და პირველ წრეში ნაჩვენები თავისივე შედეგი 2 გოლით გააუმჯობესა. ამათ მხარი დანარჩენებმაც აუბეს და მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხება არ გასჭირვებიათ.

მეორე შეხვედრაში 11 წუთის მანძილზე მხოლოდ თბილისელ ხელბურთელებს გაჰქონდათ ბურთი. ქუთათურებმა ანგარიში ამის შემდეგღა დაასველეს. ახალგაზრდა ქუთაისელები მონდომებულები კი ჩანდნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს. ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო იმისთვის, რომ ჩემპიონატის ფავორიტებს ტოლ-სწორად ეთამაშონ. თბილისელთაგან წივწივაძე და ქარდავა გამოირჩნენ. მეგოლეთა შორის კი ამირან ყიფიანი („სტუ-თელავი") ლიდერობს 67 ბურთით, შემდეგ კი „თბილისელები" — გიორგი წივწივაძე (39) და ვანო ქარდავა (35) მოდიან.

**ლევან მაისურაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 4 | 0 | 0 | +87 | 8 |
| ხკ თბილისი | 3 | 0 | 1 | +84 | 6 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 3 | -63 | 2 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 4 | -108 | 0 |



## რეგულარული ჩემპიონატი

8 ოქტომბერი

**დეტროიტი 4:2 ედმონტონი**
2:1 1:1 1:0
1:0 სამუელსონი (7), 2:0 ჩელიოსი (15), 2:1 პორკოფი (15), 3:1 ჰოლმსტრომი (21), 3:2 კოლიანო (40), 4:2 დრეიპერი (60)

**აილენდერსი 1:2 ვაშინგტონი**
1:0 0:1 0:1
1:0 პარკი (7), 1:1 კოზლოვი (28), 1:2 ლაიხი (48)

**ოტავა 4:2 ნიუ ჯერსი**
2:0 0:1 2:1
1:0 კელი (5), 2:0 ჰიტლი (16), 2:1 ეშები (39), 3:1 რადენი (46), 3:2 პარიზე (48), 4:2 ალფრედსონი (60)

# კაცი, რომელიც გვარს ამართლებს



პოლ შასტნი

**გუშინდელ** „სარბიელში" ვთქვით, ახალი რეგულარული სეზონის სტარტზე ყველაზე გამორჩეული ფიგურა კოლორადოელი „ზვავების" სლოვაკური წარმოშობის ახალგაზრდა ფორვარდი პოლ შასტნიაო და ჩვენი აზრი ჰოკეის ჩრდილოამერიკელმა ექსპერტებმაც დაადასტურეს და შასტნების ლეგენდარული დინასტიის ახალი წარმომადგენელი წლევანდელი სეზონის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ჩემპიონატის საწყის სამ მატჩში შასტნიმ ოთხ გოლს ოთხი შედეგიანი პასი დაამატა და ლომის წილი დაიდო „ზვავების" მიერ „დალასისა" და „ნეშვილის" დამარცხებაში.

შასტნის კვალად კვირის მეორე და მესამე ვარსკვლავებად „აილენდერსის" ძირითადი ცენტრი მაიკ კომრი და „ნეშვილის" გოლკიპერი კრის მეისონი დასახელდნენ. აღნიშნულ პერიოდში კომრიმ ოთხი გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა, ხოლო მეისონმა ორ მატჩში მხოლოდ ერთი შაიბა გაუშვა და „კოლორადოსთან" 4:0 მოგებულ შეხვედრაში 35 სეივი გააკეთა.



# ვურცმა ფორმულა დაასრულა




**ავსტრიელი** მეფორმულე ალექსანდრ ვურცი დათქმულ ვადაზე ადრე გამოეთხოვა „სამეფო რბოლებს". 33 წლის პილოტს „უილიამსთან" კონტრაქტი ამჟამინდელი ჩემპიონატის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ 21 ოქტომბერს გასამართ ბრაზილიურ ეტაპს აღარ დაელოდა და წასვლაზე გააკეთა განცხადება:

„ყოველთვის ვთვლიდი, რომ როგორც კი გაგიჩნდება თუნდაც წუთიერი ეჭვი იმის მიზანშეწონილობაზე, რასაც აკეთებ, მით უმეტეს, ფორმულა 1-ში საქმიანობისას, უნდა წახვიდე. ამ ნაბიჯზე კარგა ხანია, ვფიქრობდი და მისი გადადგმის დროც დადგა. წლევანდელმა რბოლებმა, განსაკუთრებით კანადაში პოდიუმმა, სიამოვნება კი მომანიჭა, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ჩემი წასვლის დრო მოვიდა."

ალექს ვურცი ფორმულა 1-ში ათი წლის წინათ გამოჩნდა „ბენეტონის" შემადგენლობაში. დიდი წარმატებებით არ გამოირჩეოდა და ამდენად, უფრო ხშირად, მეტესტე მრბოლად იწვევდნენ.

ასე რომ, სადღეისოდ მის საკარიერო ანგარიშზეა 69 გრან პრი, სამი საპრიზო ადგილი და 65 ქულა.





ლენოქს ლუისს ძველი მეტოქის ასაკი აფიქრებს

# ბებერი ჰოლიფილდი სულთანის ტახტს ითხოვს

**13 ოქტომბერს** მოსკოვში WBO-ს (ორგანიზაცია) ვერსიით, მძიმე წონის საჩემპიონო ჩხუბი შედგება ტიტულის მფლობელ რუს სულთან იბრაგიმოვსა და კრივის ამერიკელ ლეგენდას, ევანდერ ჰოლიფილდს შორის.

44 წლის ჰოლიფილდი, ვისაც თავის დროზე ეპიკური ორთაბრძოლები გაუმართავს მაიკ ტაისონთან, ლენოქს ლუისთან, რიდიკ ბოუსთან და გასული საუკუნის 90-იანი წლების სხვა გამორჩეულ მოკრივეებთან, შეეცდება, მეხუთედ მოიპოვოს მძიმე წონაში საჩემპიონო ქამარი და ამით აბსოლუტური რეკორდი დაამყაროს.

ჰოლიფილდი უკვე მოსკოვშია და დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ერთდღიანი დასვენება რა მოათავა, უშუალოდ შაბათის ბრძოლისთვის მზადებას შეუდგა.

იბრაგიმოვიც ამერიკაში ემზადებოდა ჯეფ მეივეზერთან და ფრიად კმაყოფილი გახლავთ ამ მზადებით. „ძალიან გავაუმჯობესე დაცვა. ასაკის მიუხედავად, ჰოლიფილდი ძალზე სახიფათო მეტოქეა და უფროს მეივეზერთან მუშაობა დამეხმარება ამ ჩხუბში. ახლა უფრო ჭკვიანურად ვმოძრაობ რინგზე, დისტანციასაც უკეთესად ვარჩევ და ეს ყველაფერი ჯეფის დამსახურებაა".

ამასობაში შაბათის ჩხუბზე საკუთარი აზრი გამოთქვა ლენოქს ლუისმა. ბრიტანელი, ვინც მძიმე წონის, ალბათ, ბოლო დიდი ჩემპიონია, შიშობს ასაკოვანი ჰოლიფილდის გამო. „ევანდერის პრობლემა ის არის, რომ მას, ჩემგან განსხვავებით, კვლავაც სწყურია დიდება. ასე მგონია, რომ მის გარემოცვაში მყოფი ხალხი ჰოლიფილდს აგულიანებს, რომ მას ჯერ კიდევ ძალუძს ჩემპიონობა. ყოველთვის მოიძებნება ისეთი პიროვნებები, რომლებიც იმას გეტყვიან, რისი მოსმენაც შენ გსურს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ისინი ამ ლაპარაკისა და თავიანთი სამსახურის წყალობით ფულს იღებენ, ხოლო შენ თავში მუშტი გხვდება. ევანდერი უკვე ასაკოვანი მოკრივეა, ვინც თავისი პიკი კარგა ხნის წინ გაიარა და ის სასწორზე საკუთარ ჯანმრთელობას აყენებს" — ბრძანა ლენოქს ლუისმა.

# ყურისმკვნეტელი სეკუნდანტი

## ტაისონს ციხემდე მოსკოვში მოუნდა



**თუ ლენოქს ლუისს** ევანდერ ჰოლიფილდის ასაკი და ჯანმრთელობა აფიქრებს, კრივის კიდევ ერთი ლეგენდა, ჰოლიფილდთან და ლუისთან არაერთხელ ნაჩხუბარი მაიკ ტაისონი მოსკოვში ჩასვლას და 13 ოქტომბრის ორთაბრძოლისას იბრაგიმოვის სეკუნდანტობას აპირებს.

ამ ცოტა ხნის წინ ოდესღაც „რკინის" ტაისონს ამერიკულმა სასამართლომ ნარკოტიკების შენახვისთვის მორიგი განაჩენი გამოუტანა და ოთხი წლითა და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ წუთისთვის ტაისონის ადვოკატები ცდილობენ, რომ ყოფილ მოკრივეს პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალონ. თუ ეს არ გამოვა, მაშინ 19 ნოემბერს მსოფლიოს ექსჩემპიონი ციხეში ჩაჯდება, თუმცა მანამდე მოსკოვში ჩასვლა განუზრახავს.

„ამ ეტაპზე მაიკის მოსკოვში ჩამოსვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია — განაცხადა თავად სულთან იბრაგიმოვმა — ადვოკატებმა სასამართლოს უკვე მიმართეს ამ თხოვნით, თუმც უარი მიიღეს, აქაოდა, სასჯელმისჯილ კაცს დასვენება გამოუვაო. ახლა ადვოკატები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს დასვენება კი არა, სამუშაო იქნება, როგორც ჩემი გუნდის წევრისა და სეკუნდანტის. ბუნებრივია, ძალზე დიდი სურვილი მაქვს, მაიკი ჩემი გუნდის სხვა წევრებთან ერთად რინგის კუთხეში ვიხილო, მაგრამ საბოლოო ჯამში, ვინც უნდა იდგეს იქ, ყველაფერი მაინც ჩემი გასაკეთებელია".

ტაისონის რჩევები იბრაგიმოვს, რაღა თქმა უნდა, ძალზე გამოადგება. თავის დროზე ხომ მაიკს ორჯერ უჩხუბია ჰოლიფილდთან და იცის ძველი მეტოქის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. ისე, ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ტაისონმა ჰოლიფილდს ყურიც კი მოაჭამა და ვინ იცის, იბრაგიმოვს ამისთანების საიდუმლოც გაუმხილოს.

# პიტერმა დროებითი დაიცვა

**ნიგერიელმა** მძიმეწონოსანმა სამუელ პიტერმა დაიცვა საბჭოს (WBC) ვერსიით მსოფლიოს დროებითი ჩემპიონის ტიტული, [illegible] რკში ქულებით დაამარცხა რა ამერიკელი ჯამილ მაკლაინი.

27 წლის პიტერს დროებითი ჩემპიონის ტიტული მას შემდეგ ერგო, რაც საბჭოს საჩემპიონო ქამრის მფლობელმა, რუსმა ოლეგ მასკაევმა ვერ შეძლო დათქმულ სავალდებულო დროში ტიტულის დასაცავი ჩხუბის ჩატარება. წესით, გასულ კვირას პიტერთან სწორედ მასკაევს უნდა ეჩხუბა, მაგრამ ცოტა არ იყოს საეჭვო ტრავმის მომიზეზებით უარი განაცხადა ორთაბრძოლაზე. სწორედ ამის შემდეგ რუსს ტიტული ჩამოართვეს, ნიგერიელს დროებით გადასცეს და სანაცვლოდ ახალი მეტოქე გამოუძებნეს მაკლაინის სახით.

პიტერზე 10 წლით უფროსმა ამერიკელმა ჩხუბი ძალზე აქტიურად დაიწყო და მესამე რაუნდში ნოკდაუნშიც კი გაუშვა ფავორიტად შერაცხული ნიგერიელი, მაგრამ შემდეგ ძალა აღარ ეყო. პიტერმა უპირატესობა მოიპოვა, ამერიკელი გვარიანად გალახა და შედეგად, თორმეტრაუნდიანი ჩხუბის შემდეგ სამივე მსაჯმა ნიგერიელს გაამარჯვებინა — 113:112, 115:111 და 115:110.

# მარკ ანტონიოს ბოლო ბრძოლა

## პაკიაომ ბარერა დამარცხებული გაუშვა

**გასულ** უქმეებზე გამართული უამრავი სატიტულო თუ რიგითი ჩხუბებიდან განსაკუთრებულ ინტერესს პირველი მსუბუქი წონის საჩემპიონო ორთაბრძოლა იწვევდა ორ ლეგენდარულ მოკრივეს შორის — ლას ვეგასში ფილიპინელი მენი პაკიაოსა და მექსიკელი მარკ ანტონიო ბარერას მატჩ-რევანში იყო.

მატჩ-რევანშიო, რომ ვამბობთ, მათი პირველი ჩხუბი 2003 წელს ჩატარდა და ფილიპინელმა, ვისი ვარსკვლავიც მაშინ ამოდიოდა, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა დიდების ზენიტში მყოფი მექსიკელი.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. პაკიაო ღლესდღეობით წონისგან განურჩევლად, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ ითვლება, ხოლო ბარერას ·საუკეთესო წლებმა კარგა ხანია, რაც ჩაიარა. ლასვეგასური ორთაბრძოლა მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს. უფრო სწრაფი და მძლავრი პაკიაო არ ჩქარობდა იერიშზე გადასვლას, თუმც მაინც მეტოქეზე აგრესიული იყო. ჩხუბის ნელი ტემპი უფრო ბარერას აძლევდა ხელს, მაგრამ დიდ მექსიკელს ბოლომდე ძალა მაინც აღარ ეყო და ბოლო რაუნდებში ფილიპინელის უპირატესობა გამოიკვეთა.

მე-11 რაუნდში მოკრივეები თავებით შეასკდნენ ერთმანეთს და ბარერამ რეფერის ბრძანების შემდეგ დაარტყა მეტოქეს, რისთვისაც ქულა დააკლეს. საბოლოო ჯამში ხმის დამთვლელმა სამივე მსაჯმა პაკიაოს მიანიჭა უპირატესობა — 118:109, 118:109 და 115:112 და ფილიპინელმა მეორედაც მოუგო ლეგენდარულ მეტოქეს.

33 წლის ბარერამ, ვისაც კარიერაში 63-ჯერ უმარჯვია (აქედან 42 ნოკაუტით) და მხოლოდ ექვსჯერ წაუგია, ლასვეგასური მარცხის შემდეგ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადი. „ეს ჩემი უკანასკნელი ბრძოლა იყო. კრივი დიდებული სპორტია და მე ვამბობ: „მშვიდობით"! მე რინგზე საუკეთესო მოკრივეებს შევხვედრივარ და წასვლის შესახებ გადაწყვეტილება სუფთა სინდისით მივიღე — ბრძანა მექსიკელმა და იქვე უარყო ჭორები იმის თაობაზე, რომ წასვლამდე ერთ-ორ გამოსათხოვარ ორთაბრძოლას კიდევ ჩაატარებდა — ძმამ მირჩია, არ გავაკეთო ეს. ასე რომ, პაკიაოსთან ჩხუბი ჩემი ბოლო ორთაბრძოლა იყო. ჩემი ოცნება მსოფლიოს ჩემპიონობა იყო და მე სამჯერ შევძელი ამის გაკეთება. სრულიად საკმარისია".



AFP ლაშა ვეკლენიძე[illegible]

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

## ექვსი ერით ამაყი შაბალი



AFP

**ფრანგთა** მორკინალი სებასტიენ შაბალი ამბობს, რომ ორი ევროპული გუნდის მსოფლიოს თასის ნახევარფინალში მოხვედრა ექვსი ერის პირველობის სიძლიერესა და მაღალ დონეზე მეტყველებს — „ეს შედეგი ძალიან სასიამოვნოა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სარაგბო სამყაროსთვის. სულ რამდენიმე დღის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდებოდნენ. ორი ევროპული გუნდის სამუნდიალო წარმატებაში ექვსი ერის პირველობის დამსახურებაც დიდია, მით უმეტეს, რომ ჩვენ და ჩვენმა მომავალმა მეტოქემ, შესაბამისად, ახალი ზელანდიის და ავსტრალიის ურთულესი ბარიერები გადავლახეთ.

რაც შეეხება ნახევარფინალს: ვფიქრობ, საფრანგეთი არ მოიაზრება ფავორიტად „ვარდებთან" შეხვედრაში. ყველამ ვიცით, რომ ძალიან რთული თამაში გველის და ამიტომ, მიუხედავად მაორებთან მიღწეული წარმატებისა, ეიფორიაში არ ვვარდებით და მიწაზე მყარად ვდგავართ. ჩვენ უკვე თავდაუზოგავად ვემზადებით მომავალი ჯახისთვის".

„მამლების" კაპიტანმა რაფაელ იბანესმა კი განაცხადა, რომ ახალ ზელანდიასთან ლურჯი ფერის მაისურებით რაგბობა ეროვნული სიამაყის წარმოჩენა იყო და არა მოწინააღმდეგის პროვოკაციაზე წამოგება. საქმე ისაა, რომ ფრანგებს ფერის ამორჩევის საშუალება მიეცათ და მათაც მუქი ლურჯი მაისურები ამჯობინეს. ავტომატურად, მაორებმა ტრადიციული შავი ფორმების ნაცვლად, რუხებით ითამაშეს, რაც თავიდანვე კუნძულელებისთვის ცუდ ნიშნად ჩაითვალა. „ამუნიციის ფერის შერჩევა მოთამაშეთა აზრის გათვალისწინებით მოხდა. გარწმუნებთ, არანაირ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ხაკასაც და ახალზელანდიურ ტრადიციებსაც" — თქვა იბანესმა.

**ზურაბ მიგრიაული**

## ვარდების სრული თაიგული



AFP

**ინგლისელთა** დამრიგებელ ბრაიან ეშტონს ნახევარფინალისთვის სავარაუდოდ ყველა წამყვანი მორაგბე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ეყოლება. „ვარდების" რიგებს დაუბრუნდებიან ენდი ფარელი და ოლი ბარკლი. მათ ტრავმების გამო ავსტრალიასთან ჯახი გამოტოვეს და ვარჯიში მხოლოდ ამ კვირის დასაწყისში განაახლეს. „ჩემი გუნდის საკვანძო მოთამაშეები, მაგალითად უილკინსონი, რობინსონი და ფარელი, ხშირად ტრავმების გამო მხარდამხარ თამაშს ვერ ახერხებდნენ. ახლა კი ბედნიერი და იმედიანი ვარ, რადგან ამ ბიჭებს თავი ერთად მოვუყარე და საფრანგეთს ოპტიმალური შემადგენლობით შევერკინებით" — განაცხადა ბრაიან ეშტონმა ბი-ბი-სი სპორტთან ინტერვიუში.

**ზურაბ მიგრიაული**

## არგენტინა სამხრეთის კარს მიაწვა

**ირბ-ის** თავმჯდომარე სიდ მილარი თვლის, რომ დროა, სამი ერის პირველობა გაფართოვდეს და პირველ რიგში, მასში არგენტინის პროგრესირებადი ნაკრები ჩაერთოს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში „პუმები" მსოფლიო რაგბის ელიტაში ალზევდნენ და წლეულს, ისტორიაში პირველად, მსოფლიოს თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ.

სამხრეთამერიკელების ან თუნდაც წყნარი ოკეანის რომელიმე კუნძულის (ტონგა, ფიჯი, სამოა) ტრიუმვირატში გაწევრიანება ტურნირს ახალ ეშხს და მიმზიდველობას შესძენს. „არ არის არანაირი ადგილი ექვსი ერის პირველობაზე მათ მისაღებად, რადგან ისინი სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლები არიან. მე საქმის კურსში ვარ და ვიცი, რომ სამი ერის საორგანიზაციო კომიტეტი უკვე აქტიურად განიხილავს არგენტინელთა საქმეს, მაგრამ მათი გაწევრიანება სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლებთან, მატჩის ტრანსლაციებთან დაკავშირებულ ფინანსური გარიგებების გამო, 2010 წლამდე ვერ ხერხდება.

არგენტინამ ყველას დაუმტკიცა თავისი სიძლიერე და შეიძლება ითქვას, რომ რაგბის სამყარო თავდაყირა დააყენა. ვიმედოვნებ, რომ 2010 წლამდე ბევრი რამ შეიცვლება და „პუმებსაც" ვიხილავთ სამხრეთელ გიგანტთა ამქარში" — თქვა სიდ მილარმა.

**ზურაბ მიგრიაული**



# მოსკოვი. კრემლი...
## ვენა ლიუბიჩიჩის ქალაქია

**როჯერ ფედერერი** და რაფაელ ნადალი კორტზე წინ და უკან სირბილს ისევ დასვენებას ამჯობინებენ. აშშ-ს ღია პირველობის შემდეგ თანამედროვე ჩოგბურთის პირველი ორი კაცი განცხრომას მისცემია. ჩანს, მასტერსის სერიის ტურნირებამდე ისინი კორტზე ფეხის შემდგმელები არ არიან — პრინციპში არც გაემტყუნებათ, რადგანაც წლის შემაჯამებელ ტურნირზე ადგილი დაბევებული აქვთ და იქ მოსახვედრად საჭირო ქულების დასაგროვებლად ბრძოლისგან თავისუფალნი არიან. სამაგიეროდ, იჩოგნავებენ ისინი, რომელთაც ასეთი პრივილეგია ჯერ არ მოუპოვებიათ, მაგრამ შანხაიში მოხვედრის იმედს მაინც ინარჩუნებენ.

ამ კვირაში კაცთა შორის ორი საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი იმართება — ერთი ვენაში, მეორე კი რუსთა მიერ წლების განმავლობაში ნალოლიავები კრემლის თასია. მოსკოვური ტურნირი უკვე პირველ კატეგორიაში გადის, საპრიზოც სოლიდურია და არც ბობოლები თაკილობენ რუსთა მთავარ ქალაქში თამაშს.

კორტზე დატრიალებული ამბებიდან კი ვენაში მომხდარი ორი გვარიანი მოულოდნელობით დავიწყოთ. აქ უკვე დაიფრინეს ორი განთესილი, მეექვსე და მერვე ნომრები — შესაბამისად კარლოს მოია და მარკოს ბაღდატისი. კვიპროსელს წირვა საშუალოზე საშუალო ანდრეა სეპიმ გამოუყვანა. დიდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ კუნძულელი წლეულს საზიზღრად გამოჩნდა, რაც ახლაც დამტკიცდა, როცა ბაღდატისი უბრალოდ, განადგურდა იტალიელთან და მხოლოდ ოთხი გეიმის აღება მოახერხა.

მოია კი მასპინძელმა შტეფან კუბეკმა დასცა და ამით ადგილობრივები ძლიერ გაახარა. მართალია, ესპანელმა ვეტერანმა მაგრად იბრძოლა, მაგრამ მესამე სეტში ძალიან დაიღალა და ავსტრიელთან ამიტომაც დამარცხდა — 7:6 5:7 6:2.

აი, ივან ლიუბიჩიჩი ისევ დაუმარცხებელია ვენაში. ხორვატს აქ ორჯერ უჩემპიონია და ახლაც იმავეს უმიზნებს, ავსტრიაში მისი მონაგარი უკვე 11 მოგებაა.

კრემლის თასზე კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მოიგო ყველამ, ვისაც ამას რანგი ავალდებულებდა. ახლა ჩამოთვლას აზრი არ აქვს და ჩვენც მოსკოვში პირველ ნომრად განთესილი ნიკოლაი დავიდენკოს გამარჯვება გამოვყოთ. მასპინძელთა ფავორიტს ჟო-ვილფრიდ ცონგა პირველ სეტში მედგრად დაუხვდა და ტაიბრეიკამდეც მიიყვანა საქმე, მაგრამ მეტს ველარ გასწვდა. მეორე პარტიაში კი რუსმა უფრო იოლად იხეირა და მხოლოდ ორი გეიმი დათმო.

რახან კრემლის თასზე დავიწყეთ საუბარი, ბარემ მოსკოვში პარალელურად მიმდინარე ქალთა ტურნირზეც ვთქვათ. ოღონდ ეგაა, რომ აქ უმთავრესი ფავორიტები — სვეტლანა კუზნეცოვა, მარია შარაპოვა, ანა ჩაკვეტაძე და სერენა უილიამსი პირველ წრეში ისვენებდნენ.

მათ გარეშე ყურადღება ელენა დემენტიევასკენ იყო მიპყრობილი, რომელიც ალისია მოლიკს ხვდებოდა. რუსმა ისევ ვერ მოახერხა თავგადასვლების გარეშე ცხოვრება და გვარიანი პრობლემებიც შეიქმნა, როცა მეორე სეტში რამდენიმე გათამაშების უაზროდ წაგების შემდეგ მთლიანად პარტიაც დათმო. თუმც ლენამ საკუთარი ხარვეზების ლიმიტი აქ ამოწურა და მესამე სეტში ოზს იოლად გაუმკლავდა. დემენტიევა მეორე წრეში პატი შნიდერს შეხვდება.

სერიოზული გამოცდა ჰქონდა მარიონ ბარტოლისაც. წლევანდელი უიმბლდონის მოულოდნელი ფინალისტ ფრანგს ალიონა ბონდარენკოს წინააღმდეგ უწევდა თამაში და წესით, მაგრადაც უნდა გასჭირვებოდა. თუმც გალმა უკრაინელს საქმე ორი სეტში მოუთავა. ბარტოლის წინ მასპინძელ ვერა დუშევინასთან რანდევუ ელის.

**კახა ლომჯარია**



AFP მოსკოვიდან

ელენა დემენტიევა

RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# ბევრი შაბალი ნახევარფინალების წინ

საფრანგეთის ნაკრები უელსური კარდიფიდან შინ, პარიზში ჩავიდა, რათა შაბათს „სენ დენზე" ისტორიული მეტოქეს ინგლისს ნახევარფინალში ერაგბოს.

ფრანგები სასტუმრომდე ჟანდარმერიის გაძლიერებულმა კორტეჟმა მიაცილა, სადაც მათ ათასამდე გულშემატკივარი ელოდა. ისე, ძნელად ქომაგი ერთმანეთისგან გაგერჩიათ. რაკი უმეტესობა მსოფლიოს თასის და „მამლების" სახის თმაწვერგაუპარსავი სებასტიან შაბალის პარიკს ამოფარებოდა. ცნობისთვის: მსოფლიოს თასზე უკვე ორი მილიონზე მეტი ბილეთი და შაბალის ორასი ათასი პარიკი გაიყიდა.

საფრანგეთის მეტოქე ინგლისის მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა მელელოვე ჯეისონ რობინსონმა ღია ცის ქვეშ პრესკონფერენცია მოაწყვეს. იქვე, საცხოვრებელი კორპუსის აივანზე კი ფრანგმა მოქალაქემ თავისი ქვეყნის დროშა გამოფინა. ამასობაში სევდიანი აკორდებით სამშობლოში ბრუნდება ახალი ზელანდია, კარდიფის ერთ-ერთი სასტუმროს ადმინისტრაცია მათ ხვევნა-კოცნით დაემშვიდობა.




AFP



AFP



AFP






AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი იქერომაძედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი გამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორჩელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლელა ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ომარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღლონტიკაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიძე, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაკა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge